



**7** თემურ ქორიძე:  
**ზვიადის  
არჩევანი**

**რა აკავშირებს  
ალექსანდრის  
ლაბორატორიას  
ლორის ბრივთან?**

**ჩვენთან სამი მეხნიერი  
საბანგებოდ მოაგზავნეს  
ლაბორატორიაში  
H1N1 საეუროდ 14**



**4** **მ. დილა**  
**მეჯღაჯღანა**

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემა

13 - 19 მაისი, 2009 №12

# საქართველო

& მსოფლიო

www.geworld.net

გამოდის თხზულებათაში ფასი | ღირს. ელ.ფოსტა: info@geworld.net

## ვანოღურები

ეს ჩვენი კვირვასი  
ოპოზიციანთა არ  
უნდა მოიქცეს, რომ  
ვანოღურებად, იგივე  
„ვანოს ღურაბეზად“,  
მის მათრახზე  
მოცეკვავა  
„აშუღებად“  
მონათლონ.



**2**

**ვაშაძის უწყება საგულდაგულად გალავს  
სკანდალს – რატომ გამოსაქვეს  
რუსეთიდან საქართველოს კონსული 15**



**თვალამოთხრილ  
მოპიტინგებს  
მერაბიშვილის  
კანტორა  
6 ატერობებს**

**გელა ნიკოლეიშვილი:  
კუდი და  
„რუსთავი 2“  
შეთანხმებულად  
მოქმედებდნენ 8**

**დიმიტრი მედვედევმა ქართველ ხალხს  
გამორჩევით მიულოცა 9 მაისი 23**



**10**

# 3-ანობა



11 მაისს ოპოზიციამ მიხეილ სააკაშვილთან შეხვედრაზე რაც შეიტანა, უკან გამოსულს ისიც არ გამოუტანია. ცარიელი გამოვედიო, იტყვის ამის თაობაზე ლევან გაჩეჩილაძე. ყველამ იცოდა, რომ დემოკრატიის ამ ფესვის დემონსტრაცია ასე დამთავრდებოდა და მაინც ეახლნენ მიხეილს. რატომ?

რი დამიზნებით ესვრიან ოპოზიციის ლიდერებს. შსს მინისტრის მოადგილე ქალი — ეკა ზღულაძე კი ევრანინიდან შემოგვყვრულტულეს — „მომიტიინგენი პოლიციას თავს დაესხნენ“. სისხლისმსმენელი სულის სილატაკით არიან გამორჩეულნი. გაიხსენეთ, რომ იდეოლოგია ითარგმნება როგორც „ადამიანის სულის მართვა“ და გასაგები გახდება ამათი იდეოლოგიური კრედიო და ამოსავალი წერტილი. გაიხსენეთ, როგორ ემუქრებოდა ცეცხლის გახსნილი და ამოქულეტი ნაპოლეონის პოზაში მდგარი უმაღლესი მთავარსარდალი მუხროვანის სამხედრო ბაზაზე მის წინაშე მსკრივად ჩამორიგებულ სტატისტებს — ოფიცრებსა და ჯარისკაცებს: „ციხეში ჩაგაპოვობთ, შევარდნაქარ გეგონოთ!“ გაიხსენეთ და დაასკვნით, რომ ხელისუფლება იბრძოლებს სისხლის უკანასკნელ წვეთამდე. ჩვენი სისხლისა, რა თქმა უნდა! აბა, ამათ „ციხეში სისხლს“ ვინ გაიმეტებს დასალვრელად? ვინაა წამსვლელი?! როგორც ჯანსუღ ჩარკვიანი იტყვის, ამის არავითარი მიშანსაწალი არ არსებობს. იდგებიან, როგორც გაცის და გაიმის კერები არმაზის მთაზე...

## გაჩეჩილაძე



**მიხეილ სააკაშვილი,** საქართველოს პრეზიდენტი:  
იმის ილუზია, რომ ახალგაზრდა უურნალისტების ხელკეტებით ცემას ან მათ სირცხვილის დერეფნებში ტარებას და სახეში ფურთხებას დავუშვებთ, ნურავის ექნება. იმასაც ვნანობ, რაც წინა დღეებში მოხდა... ნურავის ექნება ილუზია, რომ რომელიმე უურნალისტს დავატერორებინებ.



**ვიტორ სემენაძი,** ევროკავშირის წარმომადგენელი სამხრეთ კავკასიაში:  
ოპოზიციისთვის გაკეთებული შეთავაზებები მნიშვნელოვანია და ევროკავშირის რეკომენდაციებს შეესაბამება.



**ირაკლი ალასანია,** „ალიანსი საქართველოსთვის“ ლიდერი:  
იმედგაცრუებული ვარ, რომ ამდენ ხანს ისეთი პოლიტიკური პროცესის შექმნა ვერ მოხერხდა, რაც პრეზიდენტს ქვეყანაში შექმნილ რეალურ ვითარებას დაანახებდა. თუმცა, მცდელობა არ უნდა დავაკლოთ, რომ ხელისუფლებამ კარგად გაიაზროს ქვეყნის წინაშე არსებული პრობლემები და კრიზისიდან გამოსვლის გზების ძიება დაიწყო.



**ნინო ბურჯანაძე,** „დემოკრატიული მოძრაობა — ერთიანი საქართველოს“ ლიდერი:  
დღეს პრეზიდენტი დაგვემუქრა, რომ გზას არ დავაკვტივებ, აბა ვნახოთ, ვისი აჯობებს. გზებსაც გადავკეტავთ, რაიონებშიც გავალთ, ქუდზე კაცს დავუძახებთ და სააკაშვილს ამ ქვეყნიდან გავაქცევთ.



**სალმე ზურაბიძე,** „საქართველოს გზის“ ლიდერი:  
ჩვენ ვიქნებით მზად, გავაგრძელოთ დიალოგი ამ ფორმით და ვისაუბროთ პრეზიდენტთან იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ გამოვიყვანოთ ქვეყანა ნებისმიერი კრიზისიდან, თუმცა ჩვენ არ ვართ მზად, ვისაუბროთ იმაზე, თუ როგორ გავხდეთ ახალი თარგამაძეები.

## ჩვენაპირ სინფორმა-ციო მიტინგაზა ხევაა სოლა.

მთელი ეს მრავალკვირიანი საპროტესტო აქციები იმიტომ იმართებოდა, რომ ამ უშედეგო შედეგით დამთავრებულიყო?! ვითომ წინ არ გვედო გასული წლების ნაყალბევი დიალოგების მდიდარი გამოცდილება, რასაც ოპოზიციის რეიტინგის სერიოზული ვარდნა და საზოგადოებრივი პროტესტის დადამბლაება მოჰყვა? რეჟიმის ყოველმდინარეობაზე გადახტომის წინ ისე შეეყვირეთ „ჰოპოლა!“, თითქოს არასდროს გაგვეგონოს უკრაინელების მათრახივით მოქნილი ანდაზა-გაფრთხილება: „Не кажи гоп, поки не перекочушь!“ სათაურს მივუბრუნდეთ, ის დროა, — **ვანოღურაბს.** გაიხსენეთ ტრუბადურები და, მიუხედავად იმისა, რომ ორივე სიტყვაში რუსული ღურაპის ფუძეს იპოვით, სიამოვნებით გაილიმბთ. ტრუბადურები — შუა საუკუნეების ევროპის ეს უბადლო აბულეები, იყო დრო, მოდის დამდებნი იყვნენ ძველი კონტინენტის ქვეყნების მასობრივ კულტურაში. სხვა თუ არაფერი, საბალო ცეკვები მათი დაფუძნებულია. ფუძე თავად სიტყვისა ტრუბადური რომანული ენების ზმინსგან trobar არის წარმოქმნილი და ნიშნავს — შეთხზვას, გამოგონებასა და მუსიკას. ლექსებს წერდნენ და ლამაზი მელოდიით აამლერებდნენ ჩამოქნილ რითმებს. მღეროდნენ მეფეთა კარზე, ბაზრობებზე, ნადიმებზე... (მიტინგები მაშინ უცხო ხილი იყო). წარმოიდგინეთ, რომ ზოგი მათგანი თავად იყო სამეფო გვარისა. დაბოლოს. ტრუბადურები მასობრივი ინფორმაციის თავისებურ საშუალებად იყვნენ აღიარებულნი: კვიპროსიდან შოტლანდიამდე, პორტუგალიიდან აღმოსავლეთ ევროპამდე, ყველგან, როგორც კი ჩავიდოდნენ, აგროვებდნენ ახალ ამბებს და ზეპირი ფორმით ავრცელებდნენ. აი ისა, რომლოც

## დახმარება სჭირდება“ (ლევან გაჩეჩილაძე).

და მსკრივად დანყობილები, „თითქმის პრეზიდენტულად“, როგორც ერთ ტელერევიორტაჟში გვაცნობეს, მივიდნენ. სად? შინაგან საქმეთა სამინისტროს შენობაში მივიდნენ ნაცემი და დასისხლიანებული „მომავალი კატორღელები“, ქვეყნის უმწვავესი პოლიტიკური და სახელმწიფოებრივი პრობლემების დემოკრატიული და კონსტიტუციური გზით გადასაწყვეტად! ეს თავისთავად ანეკდოტია! მიშა ვანოს მძევალა, ვანო — მიშასი, ორივე — გარემოცვის და გარემოცვა — ამათი, ვანოს მათრახის ნივლის ფონზე. „შიში შეიქმნა სიყვარულსა... დიალოგსაც შეიქმნა შიში. დაჯირითობენ განვრთნილი ცხენები ცირკის სარბიელზე, წრეს წრეზე კრავენ და არ აქვს დასასრული ამ ტენებას: ავფორიაქდებით, ავიბარებთ, აქციებს აქციებზე მოვანყობთ და... მივალთ დიალოგზე ფაშასთან. ფაშა, როგორც მაკარტუილიკოტრიაშვილი, აყვირდება: „ეს რა ცირკი მოგინყვიათ!“ და ყველაფერი თავიდან დაიწყება — აქციები, პროტესტები, „საკენების არქიპელაგები“, მათრახის ტყლაშუნი და ისევ დიალოგში შეგდება. ანუ — კავკასიური ცარცის წრე №2, ოლონდ უნიჭობით დადგმული და განხორციელებული. დაიღვრება სისხლი. პლასტიკურ ტყვიებს პირდაპირ

**P.S.** სააკაშვილი იმავე დღეს ბათუმში მიფრინავს ახალი და, როგორც ყოველთვის, მსოფლიოში არნახული ოპერის თეატრის მშენებლობას უყრის საფუძველს. ჩაყურის და განაცხადებს, რომ ყველაფრის მიუხედავად გრძელდება საქართველოს აღმშენებლობა. იტალიელი კი რატომღაც ძველი ლასკოვოვი კმაყოფილებიან! ადევკატურობის ამ შუქურამ, შეჰყვირა „ჰოპო!“, თუმცა ჯერ არც ამხტარა. ახტება და...

**ბიორბი ბიბიბერია**

რომან მაისურაძე:

# ნინო ბურჯანაძე გეუღლას ჰკითხოს, რა აბებს ასევეინ პოლისიელას

2005 წლის 17 ივნისს სამხედრო და შინაგან საქმეთა ორგანოებიდან და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურიდან თადარიგში დათხოვნილ პირთა და მათი ოჯახების წევრთა საპენსიო უზრუნველყოფის შესახებ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე პარლამენტმა კანონპროექტი გამოსცა, რომლის თანახმადაც, მიღებულ იქნა კანონი სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ. ამას მოჰყვა ძალოვანი უწყებების ყოფილ თანამშრომელთა სტაჟის მიხედვით საპენსიო ანაზღაურების მკვეთრად შემცირება, რამაც, ბუნებრივია, ვეტერანებში უკმაყოფილება და პროტესტი გამოიწვია.

აღსანიშნავია, რომ კანონპროექტი ძალაში 2006 წლის პირველი იანვრიდან შევიდა და ამ დღიდან პარლამენტის შენობასთან საპროტესტო აქციები კარგა ხანს არ შეწყვეტილა. ამის მიუხედავად, კანონი დღემდე არ შეცვლილა და, როგორც ცნობილია, ამ ეტაპზე მასში რამე კორექტივების შეტანა არც განიხილება.

გთავაზობთ ინტერვიუს ვეტერანთა კავშირ „აბჯანის“ თავმჯდომარესთან რომან მაისურაძესთან, რომელიც პარლამენტის წინ გამართული საპროტესტო აქციების აქტიური მონაწილე და ერთ-ერთი ორგანიზატორი იყო.

— ბატონო რომან, სახელმწიფო კომპენსაციის შესახებ მიღებულ კანონს თქვენს და თქვენი კავშირის წევრების მხრიდან უარყოფითი რეაქცია მოჰყვა. კონკრეტულად რა არის მასში მიუღებელი?

— ამ კანონის მიხედვით, იმ ხალხს, ვინც წლების მანძილზე მუშაობდა შინაგან საქმეთა სამინისტროსა და სხვა ძალისხმევით უწყებებში, დღეს მიზერული და სამარცხვინო პენსია აქვს. მაგალითად, ვისაც ოცი წელი აქვს ნამსახურ-

ები, ოცდაოთხ ლარს იღებს; ოცდახუთწლიანი სტაჟის მქონე — ორ ლარსა და ორმოცდათორმეტ თეთრს... ეს მაშინ, როცა ოცდაათი წელი ციხეში ნაგოგმანებ და მთელი ცხოვრება უსაქმურად ნამყოფ ხალხს ოთხმოცდახუთი ლარი აქვს პენსია...

— ამის შესახებ მიმართეთ თუ არა შესაბამის ორგანოებს?

— რა თქმა უნდა, თანაც — არა ერთხელ. როცა ამოქმედდა კანონი სახელმწიფო კომპენსაციისა და აკადემიური სტიპენდიის შესახებ, მაშინვე სარჩელი შევიტანეთ სასამართლოში. თავის მხრივ, სასამართლომ განიხილა გავუზავნა პარლამენტს, სადაც ხაზგასმით იყო აღნიშნული, რომ საქმე დაუყოვნებლივ რეაგირებას მოითხოვდა. ამის მიუხედავად, პარლამენტს ყურით არ შეუბერტყავს და ყველაფერი ისე დარჩა, როგორც იყო.

მოგვიანებით პარლამენტის მაშინდელ თავმჯდომარეს ნინო ბურჯანაძეს მივმართეთ, რათა, ბოლოს და ბოლოს, ყურადღების ღირსად ჩავეთვათ, მაგრამ მანაც არადა ჩაგვავადო. ამის შემდეგ იძულებული ვავხდებით, უკიდურესი ზომების-

ვის მიგვემართა და პარლამენტის შენობის წინ აქციები დავიწყეთ. გამოსვლები თითქმის ორ თვეს გაგრძელდა, მაგრამ — უშედეგოდ, ყურადღება კვლავ არავინ მოგვაქცია...

**სხვათა შორის, გაუჩინებელი რაოზიხიონარიც მოგვატანს, ათ შორის, პაატა ღაბითიაძე, რომელმაც პარლამენტში შესვლისთანავე დაგვიინფორმირა...**

— ბურჯანაძის მიმართ რა პრეტენზიები გაქვთ?

— როგორ თუ რა პრეტენზიები! ის მაშინ ქვეყნის მერე პირი იყო და ბევრი რამის გაკეთება შეეძლო, მაგრამ არ ისურვა. საერთოდ, ამ ქალბატონს ხალხისთვის სასიკეთო არაფერი გაუკეთებია. თუ რამე გააკეთა, თავისთვის და თავისი ოჯახისთვის, თანამდებობა გამდიდრებისთვის გამოიყენა, ქმარი სასაზღვრო პოლიციის უფროსად დასვა...

სხვათა შორის, ახლა რომ კითხულობს, რა აბებს ასმევენ პოლიციელებსო, ჰკითხოს თავის ქმარს; რა, მისი უფროსობის დროს არ ხდებოდა მსგავსი ფაქტები?!

— როცა პარლამენტთან აქციებს მართავდით, ოპოზიციურ პარტიებს თუ მიმართეთ თანადგომისთვის?

— ჩვენი კავშირი არ არის პოლიტიკური ორგანიზაცია და, ამდენად, პოლიტიკურ პროცესებში არ ვერევი. არც პარტიებთან ვაქვს რაიმე ურთიერთობა; უბრალოდ, ჩვენ ჩვენივე ძალებით ვიბრძვით იმისთვის, რაც კანონით გვეკუთვნის. უწინარესად, ესაა პენსიების გაზრდა, სოციალური შეღავათების დაწესება და ა.შ. ყველა ნორმალურ ქვეყანაში. სადაც დამსახურებულ ადამიანებს პატივს სცემენ, ასე ხდება...

მათხოველი პენსია თუ რაღაც სახელმწიფო კომპენსაცია (რომლის მნიშვნელობა მათ, ალბათ, თვითონაც არ ესმით) არავის არაფერში სჭირდება. ჯობია, საერთოდ გააუქმონ ეს კანონი, ვიდრე ღირსეული ადამიანები შეურაცხყოფს ორლარიანი ე.წ. აკადემიური სტიპენდიით...

დღეს რომ რუსეთის ეკონომიკას დასცილიან, ჩამოშალაო, ნახონ, იქ რა პირობებში არიან ვეტერანები — კომუნალური გადასახადებიდან დაწყებული, საზოგადოებრივი ტრანსპორტით სარგებლობით დამთავრებული; ყველაფერში შეღავათები აქვთ და, თანაც, ყოველ სამ თვეში ერთხელ ამ შეღავათე-



...დღეს რომ რუსეთის ეკონომიკას დასცილიან, ჩამოშალაო, ნახონ, იქ რა პირობებში არიან ვეტერანები — კომუნალური გადასახადებიდან დაწყებული, საზოგადოებრივი ტრანსპორტით სარგებლობით დამთავრებული, ყველაფერში შეღავათები აქვთ და, თანაც, ყოველ სამ თვეში ერთხელ ამ შეღავათების გადაანგარიშება ხდება...

ბის გადაანგარიშება ხდება... ჩვენ, ვეტერანი პოლიციელები, მთელი ცხოვრება ქვეყანას ვემსახურებოდით, ვიცავდით მშვიდობას და რა მივიღეთ? — ორლარიანი პენსია... ხელისუფლებამ მათხოვარი გაგვხადა...

— სამომავლოდ რა გეგმები გაქვთ, ხომ არ აპირებთ, აქციებს შეუერთდეთ?

— აქციების გზა უკვე ნაცადი გვაქვს და დაგრძელებით, რომ ამით ვერაფერს მივალწევთ. ორ თვეზე მეტ ხანს ვიდევქით პარლამენტთან, შევხვდით ხელისუფლების წარმომადგენლებს — გიგი წერეთელს, ნინო ბურჯანაძეს, მაგრამ ყველაფერი უშედეგოდ დასრულდა.

ახლა სარჩელი შევიტანეთ სტრასბურგის სასამართლოში, საიდანაც შეგატყობინეს, რომ საჩივარი რეგისტრირებულია. ასევე მოგვმართეს თხოვნით, თუ რამე დამატებითი ინფორმაციები და

მასალები გვექნება, დაუყოვნებლივ გადავუგზავნოთ. ისე, სიმართლე გითხრათ, არ ვიცი, როდის განიხილავენ ჩვენს საჩივრს და, საერთოდ, განიხილავენ თუ არა, იმიტომ, რომ ამ შემთხვევაში სტრასბურგის სასამართლოც ბიუროკრატიული მანქანაა...

— კანონს სახელმწიფო კომპენსაციის შესახებ თავის დროზე პარლამენტში მხარი დაუჭირა დეპუტატთა უმრავლესობამ, თუმცა პროტესტანტების ჯონი მაშინ ერთგულზე გადატყდა. ამბობდნენ, ამ კანონის შემოღება ბენდუქიძის „დამსახურება“ იყო...

— დიახ, ამას ბევრი ამბობდა და ნაწილობრივ ასეცაა, მაგრამ პარლამენტში დეპუტატებიც ხომ იყვნენ?! ისინი ხომ ხალხის მიერაა არჩეული?! ხომ შეეძლოთ, პროტესტი მაინც გამოეხატათ, ან მხარი არ დაეჭირათ ამ დრაკონული კანონისთვის?! — რა თქმა უნდა, შეეძლოთ, მაგრამ ამას ვაცობა უნდა... ბევრს ნაკითხულიც არ ჰქონდა ეს კანონპროექტი, ისე მისცა ხმა... ასე რომ, მორალური პასუხისმგებლობა ყველას თანაბრად ეკისრება, მათ შორის, ნინო ბურჯანაძესაც, გიგი წერეთელსაც და პარლამენტის რიგით დეპუტატებსაც...

— ცოტა ხნის წინათ ქრისტინა-დემოკრატიულმა პარტიამ პარლამენტში შეიტანა კანონპროექტი სახელმწიფო კომპენსაციის შესახებ კანონი ცვლილებების შეტანის თაობაზე. გაცნაოთ თუ არა ამ კანონპროექტს?

— გაცვანი და შთაბეჭდილება დამრჩა, რომ მისი შემდგენლები არ იცნობენ არსებულ კანონს. ამ პროექტში არაფერია ნათქვამი საპენსიო ანაზღაურების გადაანგარიშების თაობაზე, თანაც, ეს კანონი ეხება პენსიონერებს, ვისაც მომავალში დაენიშნება პენსია და არა მათ, ვისაც ხუთი ლარი აქვს ე.წ. კომპენსაცია... მოკლედ, „ქრისტინა-დემოკრატების“ ეს ინიციატივა ვერ გადაჭრის ჩვენს პრობლემას და, შესაბამისად, მისი დამტკიცების შემთხვევაში, ჩვენს სასიკეთოდ რეალურად არაფერი შეიცვლება...

# მოგაგვალს ვანოსია?!

ვინ-ვინ და, ჩვენ ყველაზე კარგად ვიცით, რომ გიორგი თარგამაძეობას ისევ ვანო მერაბიშვილობა სჯობია თასჯერ, მაგრამ დიდ არს ძალი პროგრესისა და ვერ საცნაურ არნ გზანი მიშასანი.

მხოლოდ რამდენიმე ადამიანმა შეინარჩუნა ნამდვილი სახე და ისევ ვანოდ დარჩა. ერთ-ერთი ასეთი მარადიული ვანო აღმოჩნდა უკრაინის შინაგან საქმეთა მინისტრი იური ლუცენკო.

ვინც არ იცის, მათთვის — ფრანკფურტის აეროპორტში გერმანიის პოლიციამ დააკავა უკრაინის შს მინისტრი, რომელიც, თვითმხილველთა მტკიცებით, იმყოფებოდა მთვრალი მდგომარეობაში, ხმაბლდა ყვიროდა და მობილურს იქნევდა აქეთ-იქით.

თურმე, არანაირი მნიშვნელობა არა აქვს, მიშას ვანო ხარ თუ იუმჩენკოსი, მთავარია, ვანო იყო და ქვეყანა შენი გეგონოს!

ძალიან მაინტერესებს, მობილურის აქეთ-იქით სროლა და ქნევა რატომ გახდა ფერადი რევოლუციების შედეგად მოსული მიშებისა და ვანოების საიდუმლო რიტუალი?

მიშა არ იყო, ბოლოსწინა პრემიერ-მინისტრს მობილური რომ უხეტოდა თავსა შიგან და თვალნი ერთნი დაუბუშტნა?

დავუბრუნდეთ ლუცენკოს. ეს რომ იუმჩენკოს გაუგია, გადა-

რეულა კაცი — გველი გამიზრდია უბეშიო, მაგრამ ამაზე ტიმოშენკოს უპასუხია, — შენ რა ვაგებრდია, ეგ კაცი ჩემს უბეშია გაზრდილიო! მერე იუმჩენკოს უთქვამს, — ისევ შენს უბეში იყოსო, რა, პირველი იქნება თუ უკანასკნელიო?

ხუმრობა იქით იყოს და, იუმჩენკოს მართლა უთქვამს ტიმოშენკოსთვის, ეგ საკითხი განიხილეთო. ლუცენკოს დაკავებული თანამდებობის დატოვება მოუწია.

არა, რა! უკრაინა მაინც უფრო ევროპაა და მაინც უფრო ცივილიზებულია. აბა, წარმოიდგინეთ, მთვრალი ვანო რომ დაეკავებინათ გერმანიაში, რა მოხდებოდა?

არაფერიც არ მოხდებოდა! ჩამოვიდოდა ვანო საქართველოში, მერე მიშა გამოვიდოდა ტელევიზიით, შეაქებდა ვანოს საერთაშორისო ასპარეზზე წარმატებული საქმიანობისათვის და გორგასლის თუ არა, სულ მცირე, ღირსების ორდენით დააჯილდოვებდა — ძალიანაც კარგი, თუ გერმანელებს ავინე და მობილური ურტყი თავში! ეგენი რო ნატოში არ გვიღებენო? მასე მოუხდებოდა!

რაო? გადაყენებო?! ნურას უკაცრავად! მიშა ის კაცი არაა, რომ ერთი დათრობისთვის და ჩხუბისთვის ქვეყნის ხერხემალი თანამდებობიდან გადააყენოს!

ჩხუბი და მობილურის სროლა რა მოსატანია, 2007 წლის 7 ნოემბერს ვისაც სად დაენიგნენ ჩვენი მიკრო-ვანოები, იქ სცემეს და რაც ხელში მოხვდათ, ის ურტყეს თავში, მაგრამ ვანოს გადაყენება არც უფიქრია ვინმეს! ისევ უკრაინელ ვანოს მივხედოთ.

ლუცენკოსთან ერთად მისი 19 წლის ვაჟი ალექსანდრეც დააკავეს, რომელიც ასევე მთვრალი აღმოჩნდა, — იუნჩენკო გერმანიის საინფორმაციო სამსახურებში.

ამაზე ნათქვამი: — „ის ურჩევნია მამულსა, რომ შვილი სჯობდეს მამას!“ როგორც ჩანს, როცა ჩვენმა მამამ და მარჩენალმა ჯორჯ სოროსმა და ხალხის მოძღვარმა ჯონ მაკკეინმა ფერადოვანი რევოლუციების ტალღა, მარშრუტი და ნესები დაგვეგმეს, თითო ვანოს მარცვალი ყველა ქვეყანაში დათესეს და ახლა მოსავლის ალეების დროა!

ბოლოს და ბოლოს, ბოლო რამდენიმე წელია, მიშას მთავრობის სახე, ხერხემალი და სხეულის კიდევ სხვადასხვა ნაწილი ვანოა.

ხომ გაგიგიათ, ვანომან შენმან წარმოგაჩინოსო!

ჰოდა, წარმოგვარჩენს!



**უკრაინა მაინც უფრო ევროპაა და მაინც უფრო ცივილიზებულია. აბა, წარმოიდგინეთ, მთვრალი ვანო რომ დაეკავებინათ გერმანიაში, რა მოხდებოდა?**

მერე ის ვანო, რომელიც მაკეინის მიერ ჩადებულმა თესლამ მოგვცა, გამრავლდება, კიდევ ვანოებს მოგვცემს, მერე ისინიც გამრავლდებიან და კიდევ პატარა ვანოებს მოგვცემენ და ბოლოს მთელი ქვეყანა ვანოები ვიქნებით! გავმრავლებით და აღარ დავიღვევით! მომავალი ვანოსია?!

მომავალ ოთხშაბათამდე...  
**ლაშა ბიორბიძე**

გზის, გაგზავნილი თქვენი მოსაზრებები? დაგზავნეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

**საქართველო**

**მაქსიმე კახიანი**



**სალმე ზურაბიშვილი,**  
„საქართველოს გზის“ ლიდერი:  
აუცილებელია, გაიღვიძოს სააკაშვილმა, გაიგოს, რა ხდება. შეგვხვდეს, გვითხრას, როგორ ხდება კრიზისიდან გამოსავალი. ჩვენ გამოსავალს ვხედავთ მის გადადგომაში.



**ლევან ბაჩიანი,**  
ოპოზიციის ერთ-ერთი ლიდერი:  
სპეცრაზმი ყვიროდა „მიშა, მიშა“, ხალხი კი ყვიროდა „საქართველოს“, ასეთი რამ მხოლოდ ფაშისტურ გერმანიაში ხდებოდა. ჩვენ ამ რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლას ბოლომდე მივიყვანთ.



**რამონ ავაშვილი,**  
პოეტი:  
თქვენ ქუჩაში არა ოპოზიციის მონაწილეებმა, არამედ ხელისუფლებამ გამოგიყვანათ. გუშინწინ გააჩვენებდნენ დიდი გმირობა ჩაიღვინა. ამიტომ მე გამოვიდვიარ ინიციატივით, მას სახალხო გმირის ნობელი მიენიჭოს.



**დამირი რომოზი,**  
რფ მუდმივი წარმომადგენელი ნატოში:  
მიხეილ სააკაშვილის ბოლოდროინდელ განცხადებებზე რუსეთში მხრებს იჩენავენ. არ შეიძლება, ყოველთვის ნებისმიერი სულელური მიზეზით ხელი გაიშვიროს რუსეთისკენ. არ შეიძლება იყო ასეთი სასაცილო. ის, ვინც მოიფიქრა ეს სულელური ისტორია ამბობს და კავშირებით, სულელურად გამოიყურება.



**ირაკლი ბატიშვილი,**  
„რესპუბლიკური პარტიის“ წევრი:  
დარწმუნებული ვარ, ყველა, მათ შორის, სპეცრაზმი, ხალხის მხარეს გადმოვა და სააკაშვილს აღარავინ დარჩება. თუკი მას ჩვენი დარბევა კიდევ აქვს გეგმაში, მინდა ვუთხრა, რომ აქ უამრავი ადამიანი დადგება და არავინ არ გაიქცევა.



**ზვიად ძიქობავა,**  
„კონსერვატორების“ ერთ-ერთი ლიდერი:  
რომელი ნაპოლეონ ბონაპარტეა მიხეილ სააკაშვილი, რომ ალღუმი ჩაატაროს. წავიდეს და დაიმალოს, ხალხს არ დაენახოს.



**კონსტანტინე გამსახურდია,**  
პარტია „თავისუფლების“ ლიდერი:  
ჩვენი ისტორიული ფესვები და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის დასახული გზა არ გვაძლევს უფლებას, შევხვდეთ და ველაპარაკოთ იმ ძალას, რომელიც ერთმნიშვნელოვნად წარმოადგენს უცხო ქვეყნის ინტერესების გამტარებელს საქართველოში, ანუ ოკუპანტს.



**გიორგი ნარიშვილი,**  
პარლამენტის ვიცე-სპიკერი:  
ხელისუფლების მხრიდან გაკეთებული შეთავაზებების გარშემო მოლაპარაკების მაგიდასთან ირაკლი ალასანიძე და რამდენიმე არასაპარლამენტო ოპოზიციური პარტია დასდებიან. ალასანიძე პრეზიდენტთან შეხვედრის შემდეგ კიდევ ერთხელ განაცხადა, რომ ქვეყანაში საჭიროა ცვლილებები და ხელისუფლებასთან დიალოგის რეჟიმის გაგრძელება. ჩვენ არასაპარლამენტო ოპოზიციას ძალიან მნიშვნელოვანი კონკრეტული წინადადებები შევთავაზებთ, რომელსაც გააჩნია არა ერთი ან ორდღიანი დატვირთვა, არამედ დატვირთვა ქვეყნისათვის ბევრად უფრო ხანგრძლივ პერსპექტივაში.

11 მაისს შსს ახალ შენობაში, რომელმაც ადამიანს შეიძლება გადავირთვებოდა საფერფლე მოგაგონოს, მიხეილ სააკაშვილი ოპოზიციის წარმომადგენლებს შეხვდა. გარღვევას ამ შეხვედრისაგან არავინ ელოდა, თუმცა საზოგადოებას გარკვეული პროგრესის იმედი მაინც ჰქონდა. დღის ბოლოს ნათლად გამოჩნდა, რომ მხარეები არა მხოლოდ სხვადასხვა ენაზე საუბრობენ, არამედ სხვადასხვა პლანეტაზე ცხოვრობენ.

ნორმალურ სახელმწიფოებში პოლიტიკური პროცესის ანალიზის დროს მას განიხილავენ როგორც საჭადრაკო პარტიას, თავისი კომბინაციებით, სტრატეგიული ჩანაფიქრებითა და ვარიანტებით, ამიტომაც უცხოელ მიმომხილველებს ქართულ პოლიტიკაში გარკვევა ფრიად უჭირთ. ისინი ძნელად აცნობიერებენ, რომ ეს საჭადრაკო კი არა, დომინოა, დომინო თავისი მინიმალური ტაქტიკური გათვლებით, გამართლების იმედით და, რაც მთავარია, დაუსრულებელი ბრაზუნით; ხოლო ქართველი პოლიტიკოსები საჭადრაკის გროსმაისტერები კი არა, უფრო რიგითი (კი ბატონო, ურიგო) „დომინოშნიკები“ არიან. რა ვქნათ, ასეთები გამოვზარდეთ და სხვანაირები (ჯერჯერობით) არ გვყავს.

**ლაპარაკი საქმის ნაცვლად**

ოპოზიციის ლიდერთან შსს შენობაში შეხვედრის მოწყობა ჰონდურას-შიც კი აზრად არავის მოუვიდოდა. პოლიტიკური სახელმწიფოს ეთიკამ და ესთეტიკამ თავისი ლოგიკური, აბსურდამდე მიყვანილი ნაყოფი გამოიღო, ხოლო თუ ფორმიდან შინაარსზე გადავალთ, შეხვედრა, როგორც მოსალოდნელი იყო, უშედეგო გამოდგა — ვერც ერთმა მხარემ თავისი ვერ გაიტანა, ვერც კომპრომისს მიაღწიეს. ეჭვქვეშ მომდევნო შეხვედრების აუცილებლობაც კი დადგა, რადგან ცხადი გახდა, რომ მხარეები მათ მხოლოდ ტაქტიკურ დატვირთვას ანიჭებენ. კრიზისი, რაოდენ მძიმეც უნდა იყოს ამის გააზრება, გრძელდება, ესკალაციის საფრთხე კი იზრდება.

საკაშვილის მეორე შეხვედრას საპარლამენტო ოპოზიციასთან ნაკლები მნიშვნელობა ჰქონდა. რეიტინგებს თუ გადავხედავთ, დავინახავთ, რომ საპარლამენტო ოპოზიციას მოსახლეობის დიდი უმრავლესობა ქვეყანაში სიტუაციის დარეგულირებას კი არა, ტელევიზორისთვის ხმის აწვევასაც არ მიახლოებს. სააკაშვილმა რიგი წინადადებები გააუღწერა, მათ შორის: ოპოზიციური პარტიების ფართო წარმომადგენლობა კომისიებში, რომლებიც საკონსტიტუციო ცვლილებებსა და ახალ საარჩევნო კოდექსს შეიმუშავენ; აგრეთვე, საზოგადოებრივი მაუწყებლის მართვაში ოპოზიციის როლის გაზრდა. ბევრი იყო ეს თუ ცოტა? საპროტესტო ელექტორატის გადასახედიდან — სასაცილოდ ცოტა, ფაქტობრივად — არაფერი.

ცხადი იყო, ასეთი წინადადება ვითარების შემდგომ დაბაზვას გამოიწვევდა. ეს საკვანძო მომენტია: შესაძლოა, სწორედ ეს გათვლა ამოძრავებდა ხელისუფლებას და მან რეალურ დათმობას დაპირისპირების გამწვავება არჩია; შესაძლოა,

**ო, დიდი**

**რეიტინგებს თუ გადავხედავთ, დავინახავთ, რომ საპარლამენტო ოპოზიციას მოსახლეობის დიდი უმრავლესობა ქვეყანაში სიტუაციის დარეგულირებას კი არა, ტელევიზორისთვის ხმის აწვევასაც არ მიახლოებს.**



გეზი აქციის გამოფიტვაზე ხელისუფლების (ან მისი ნაწილის) მიერ უარყოფილი იქნა და იგი უახლოეს დღეებში ვა-ბანკზე წავა. ამ კონტექსტში საგულისხმოა ისიც, რომ, გარკვეული თვალთახედვით, მიხეილ სააკაშვილის მიერ შეხვედრის შემდეგ წარმოქმნილი სიტუაციაში ცუდად შენიღბული მუქარის დანახვაც შეიძლებოდა, თუმცა არც ის ვარიანტი გამოსარიცხი, რომ ხელისუფლება შექმნილ მდგომარეობას, უბრალოდ, ადეკვატურად ვერ აფასებს. სახელმწიფოს სტრუქტურები ხომ მუდმივი დაძაბულობის პირობებში შეფერხებით ფუნქციონირებენ (მინჯლერულ გენერატორს ჰგავს); მთელი მათი პოტენციალი გადართულია საპროტესტო მოძრაობის ლოკალიზებაზე და სალი ანალიზისთვის, რომელიც თავისუფალი ოპერატიული ამოცანების გადაწყვეტის აუცილებლობისგან, უბრალოდ, დრო და რესურსები არ რჩება, თუმცა ორივე (სავარაუდოდ, ერთმანეთს ერწყმინ) შემთხვევაში, ესკალაციამდე მიზანმიმართული წასვლა იქნება თუ არასწორი შეფასებებით გამოწვეული შეცდომა, პერსპექტივა ფრიად არასახარბიელო ჩანს.

რეაქციამ არ დააყოვნა. შეხვედრის შემდეგ ოპოზიციის ლიდერებმა მალევე აქციების გაგრძელების, მეტიც, მათი გამწვავების შესახებ განაცხადეს. თუ არ ჩავთვლით რამდენიმე მათგანს მცირე (უკვე ტრადიციულად) მანიპულაციებს მწვადითა და შამფურით, განწყობა ისეთივე საბრძოლო ჰქონდათ, როგორც ნაპოლეონს — აუსტერიციის (თუ ვატერლოოს?) წინ; ისე, ორივე განარხეინად იყო.

**ო, ВЕЛИКИЙ МАГДУ!..**

6 მაისს, განსაკუთრებით, შეღამებისკენ, ხელისუფლებამ ქვების სროლა დაიწყო როგორც პირდაპირი, ისე გადატანითი ფსიქიატრიული მნიშვნელობით. ასეთი ისტერიული გააფთრებით სანიტრების მიერ ალყაშემორტყმული პაციენტი იბრძვის ხოლმე. ამ კონკრეტულ შემთხვევაში პრობლემა ისაა, რომ პაციენტმა სამხარეულოდან მოპარული დანით შეიარაღება მოახსრო და, სანამ არ წართმევენ, კრიზისი არ ამოიწურება.

გიორგობა დღეს ხელისუფლების დამცველებმა როგორც კანონს, ისე საყოველთაოდ აღიარებულ ზნეობრივ ნორმებს, ძველ კრიმინალურ ქრონიკებში რომ წერდნენ, „განსაკუთრებული მოქმედებებისა და მათი შემდეგში გამართლების პროცესშიც. იმ საღამოს შემზარავი დეტალები არა ერთხელ განხილულა, ამიტომ ნორმების, სხვა კითხვებს ვუპასუხოთ: როგორი იყო პათოგენეზი, მარტივად რომ ვთქვათ, როგორ მივიდა პაციენტი ასეთ მდგომარეობამდე? რით სუნთქავდა ბოლო წლები

ფაქტი: ვიკინგები, გავრცელებული წარმოდგენის მიუხედავად, რქიან მუზარადებს არ ატარებდნენ. უბრალოდ, წარმართი ვიკინგები ევროპის ციხე-ქალაქებთან ერთად დაუნდობლად ეკლესიამონასტრებსაც ძარცვავდნენ. ამის გამო იმ დროის ეკლესია მათ „ეშმაკებს“ უწოდებდა. შესაბამისად, ისინი, ვისაც ვიკინგები არ უნახავს, თვლიდნენ, რომ მათ რქები აქვთ. ამგვარად, ვიკინგები რქიან მუზარადში არა რეალობა, არამედ შიშნარევა წარმოსახვამ შეა.

ჩამოვთვალოთ პუნქტები, რომლებშიც საქართველოს ხელისუფლებაში მყოფ ჯგუფსა და ნებისმიერ ტოტალიტარულ სექტას შორის შეიძლება მსგავსება დავინახოთ:

- ა) ჯგუფის წევრები მორჩილად ემსახურებიან ლიდერს (ბელადს, გურუს) და მის სიტყვებსა და ქმედებებს ეჭვქვეშ არ აყენებენ;
  - ბ) ისინი მიიჩნევენ, რომ მათ ჯგუფს და ლიდერს აქვს განსაკუთრებული სტატუსი, რომელიც სხვებისგან გამოყოფს და მათზე მაღლა აყენებს;
  - გ) ჯგუფის წევრები საკუთარ თავს ჭეშმარიტებასწინააღმდეგელებს წარმოადგენენ და მიიჩნევენ, დანარჩენებს კი — შემცდარ ადამიანებად, რომლებიც შესაძლებლობას არ აძლევენ ჯგუფის წევრებს, გადაარჩინონ (იხსნან) ისინი;
  - დ) განსხვავებული მსოფლმხედველობის მატარებელი არ განიხილებიან როგორც დამოუკიდებელი პიროვნებები, არამედ როგორც მარიონეტები, რომელთა უკან გარე, ლამის დემონური ბუნების მქონე ძალები დგანან;
- ე) ჯგუფის ლიდერი არაპირობა უმთხვევას არ განიხილავს როგორც**

# გაგზიარე!

**ნარკოტიკების  
პირველხარის  
პრობლემების  
მიზანშეწონილ  
არასაქართველო  
რწმუნა და  
საზოგადოების  
ზოგადი „სიბნელე“  
სახელდება;**

ვ) ლიდერს ზეზუნებრივი ძალის რჩეულად მიიჩნევენ (ჩვენს პოლიტიკურ მითოლოგიაში ამ ძალის როლს აშშ ხელისუფლება ასრულებს);

ზ) შიდა დისციპლინა, ჯგუფის წევრების კონტაქტი გარე სამყაროსთან მკაცრად კონტროლდება, მუშაობს ურთიერთკონტროლის მექანიზმიც, მიზანმიმართულად ინერგება აზრი, რომ ლიდერმა ყველაფერი იცის („ყველას უსმენენ“ და ა.შ.);

თ) ახალი წევრების მოზიდვისა და კვლავის შენარჩუნებისათვის განიხილება უსიძლოვანი ურთიერთობის სპეციფიკური ტექნოლოგიები (პროპაგანდასთან მიმართებაში მათ, ზოგადად, „ტვინის გამოცდებს“ უწოდებენ) და პიროვნების დამორჩილების სხვა საშუალებები;

ი) ჯგუფის წევრები გამუდმებით ცდილობენ, გაამარტივონ სამყაროს სურათი და ურთულესი პრობლემები მარტივი სქემების ფარგლებში (შავი-თეთრი, სიკეთე-ბოროტება) მოათავსონ;

კ) ჯგუფის წევრებს ახასიათებთ მიზანმიმართული სწრაფი, ფულის ნებისმიერი წყარო ჯგუფის (ამავე დროს, პირად) ინტერესებს დაუპყრობადობა;

ლ) განდგომილები განიხილებიან როგორც დამნაშავეები (ცოდვილები), რომელთა დასჯა ჯგუფის ნებისმიერი წევრის „წმინდა“ მოვალეობაა;

მ) ჯგუფის წევრები რეგულარულად (ძალიან ხშირად უადგილოდ) იმეორებენ იოლად დასამახსოვრებელ მოკლე ტექსტებს, ერთგვარ მანტრებს, რომელიც ფიზიკური დამკვირვებლისათვის აბსურდულად უდრის, მათთვის კი მედიტაციის საშუალებას წარმოადგენს და სიხარულსაც ანიჭებთ (მაგალითად, „მივა მაგარია“, „მამადუ დადაია“ და ა.შ.).

ამ ჩამონათვალის გაგრძელება შეიძლება მანამ, სანამ ანბანში ასო-ბგერები არ დამთავრდება და იმის იქითაც. ამა თუ იმ მიზნის მისაღწევად ჯგუფების ორგანიზება ჩამოთვლილ პრინციპებზე დაყრდნობით ჯერ კიდევ ფარანების ხანიდანაც ცნობილი, პრობლემა კი ისაა, რომ ეს პრინციპები პიროვნების თავისუფლების ფუნდამენტურ პრინციპებთან წინააღმდეგობაში მოდის.

ჯგუფის წევრები ხშირად და უადგილოდ იმეორებენ იოლად დასამახსოვრებელ მოკლე ტექსტებს, ერთგვარ მანტრებს, რომელიც ფიზიკური დამკვირვებლისათვის აბსურდულად უდრის, მათთვის კი მედიტაციის საშუალებაა (მაგალითად, „მივა მაგარია“, „მამადუ დადაია“ და ა.შ.).

**გაყინული  
თვალები,  
არააღიქვანებული  
საუბრები და  
გაუგებარი  
სისასტიკე კი  
უსიქიქისთვის  
დაამნებრებელი  
პროცესების  
სილული  
გამოვლინებაა.  
არსებობს არსთუ  
უსაფუკლო ეჭვი,  
რომ დღევანდელ  
გეგმვითა  
ჯგუფის შიდა  
ორგანიზების  
პრინციპები და  
საზოგადოებასთან  
ურთიერთობის  
ნესები არა თუ  
სკონტაქტურად  
ჩამოყალიბდა,  
არამედ  
(საპრაქტიკოდ,  
ქვეყნის ფარგლებს  
გარეთ)  
საგანგებოდ,  
ჩამოთვლილ  
პრინციპებზე  
დაყრდნობით  
შეიქმნა.**

მთლიანობაში ქართულ-საზოგადოებრივ თამაშში მონაწილეობაზე უარი თქვა (და, შესაძლოა, ჯერ კიდევ ბოლომდე ვერ გააცნობიერა, თუ რა უბედურებას გადაურჩა), მაგრამ დარჩენილ დაზარალებულთა რიცხვს, რომლებსაც აღქმისა და ქცევის შესაბამისი ტიპი და სპეციფიკური უნარჩვევები ჩამოუყალიბდათ. ძალიან იოლია, ხელი ჰკრა ასეთ ადამიანებს, კაცმა რომ თქვას, ისტორია ამას ვერც შეამჩნევს, მაგრამ საზოგადოებას, ალბათ, უნდა ეყოს მოთმინება, ეს არ გააკეთოს; ნორმალურ ცხოვრებაში დაბრუნებისათვის აუცილებელი დრო მისცეს და დახმარებაც აღმოუჩინოს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ახალ წრეზე იგივე განმეორდება.

**მათი დროის  
გამიძობი**  
დღევანდელი ოპოზიციური სპექტრის ერთი ნაწილის შემხედვარე, მიტინგის ტრიბუნისათვის თვალის გადავლებას, ერთი ძველი ისტორია მაგონდება. იგი ლიბერლისმომცვერია, თუმცა დასაწყისი ტრაგიკული აქვს. 1938-ში დასავ-



ლეთის მიერ მიტოვებულმა ჩეხოსლოვაკიამ გერმანელებს უბრძოლველად ჯერ ტერიტორიის ნაწილი, შემდეგ კი სრულიად ქვეყანა ჩააბარა, მიუხედავად იმისა, რომ წარმატებული წინააღმდეგობის განხორციელება, თავად გერმანელთა ალიანსებით, ნამდვილად ჰქონდა.

ასეულობით ჩეხი სამხედრო, მათ შორის, რამდენიმე ათეული მფრინავი, ამ დამცირებას არ შეურიგდა, ოკუპირებული ქვეყნიდან გაიქცა და ომში ჩაება. ეს მფრინავები გმირულად, განსაკუთრებული გააფთრებით იბძოდნენ, რადგან, ყველაფერთან ერთად, უნდა დაემტკიცებინათ, რომ „ჩეხი“ და „ლაჩარი“ სინონიმები არაა. მათ ეს მოახერხეს. 6 წელი საფრანგეთისა და ინგლისის, პოლონეთისა თუ უკრაინის ცაში ეს მამაცი ადამიანები (ვატლავ ბერგმანი, ტომას ვიბრალი, ფრანტიშეკ დოლუჟალი და სხვები) სამშობლოს დირსებინა და თავისუფლებისათვის ომობდნენ. ბევრი დაიღუპა, ერთეულები სამშობლოში დაბრუნდნენ.

რას აკეთებდნენ ამ დროს ჩეხეთში (უკაცრავად, რაინის ბოშეში და მორავიის პროტექტორატში) დარჩენილი მათი კოლეგები? — არაფერს განსაკუთრებულს. იყვნენ რა, თავისთვის, ზოგი სახლში ჩაკეტა, ზოგი „ლუფტვაფეს“ ესმარებოდა თვითმფრინავების ქარხნებიდან ფრონტზე გადასროლაში, ზოგიც კაფეტებში ჩურჩულით პროტესტს გამოხატავდა და თვალებს მალავდა, როდესაც იქ გერმანელი ოფიცრები შელაგდებოდნენ. ნუ განვიკითხავთ, გმირი ყველა ვერ გახდება. შემდეგ იყო 1945 წლის მაისი, მოკავშირეებმა გაათავისუფლეს ჩეხოსლოვაკიის ტერიტორიის ნაწილი, პრაღაც აჯანყდა. მართალია, გერ-


მანელებს ომის თავი დიდად აღარ ჰქონდათ, მაგრამ საბჭოთა ნაწილების მოსვლამდე რამდენიმე დღიანი ქუჩის ბრძოლები მაინც გაიმართა. ამ აჯანყებამ ჩეხურ საზოგადოებას ფაშისტურ გერმანიასთან 6-წლიანი (და არც თუ იძულებითი) თანამშრომლობის ლაქა თითქოსდა ჩამორეცხა.

ომის დასრულების შემდეგ სამშობლოში დაბრუნებულ მამაც მფრინავებს, რომლებზეც დასაწყისში ვისაუბრეთ, ახალაღორძინებული საპატრონო ძალების სარდლობამ საზეიმო წვეულება გაუმართა. მათაც მკერდზე სისხლითა და ოფლით მორწყული უცხო ქვეყნების საბრძოლო ჯილდოები მიიმარგეს და შეხვედრის ადგილისაკენ გაემართნენ. დარბაზში შესვლამდე, ალბათ, უხაროდათ, ძველ მეგობრებთან შეხვედრა, რომლებმაც 6 წელი ოკუპაციაში გაატარეს, მაგრამ შესვლის შემდეგ არ იცოდნენ, ეცინათ თუ ეტირათ. მასპინძელთა მუნდირებს ახალთახალი ორდენები და მედლები ამშვენებდა, მათ შორის, უმაღლესი ჯილდოები (I ხარისხის „საბრძოლო ჯვარი“, „თეთრი ლომი გამარჯვებისთვის“ და ა.შ.). გადმოცემით, გმირი მფრინავები ღიმილს ძლივს იკავებდნენ, თუმცა, უხერხული კითხვები ნამდვილად არ დაუსვამთ: რა ჩინ-მენდლები? რომელი „საბრძოლო დამსახურებები“, რის „გმირული თავდადება“?.. ბატონებო, რას აკეთებდით, საერთოდ, 2004-2007 (უკაცრავად, 1938-1945) წლებში? რა თქმა უნდა, არაფერი უთქვამთ, რადგან გამარჯვება იმიტომაც არის გამარჯვება, რომ ყველას ეკუთვნის და ყველას აერთიანებს, თუმცა, ტაქტი და ზომიერება საკუთარი დამსახურების(?) წარმოჩენაში არავის არასდროს სწყენდა.

**ლიბირი მონიავა**

## მაგარი აქციონი

**ვლადიმერ პუტინი,  
რუსეთის პრემიერ-მინისტრი:**



დემონსტრანტების ცემა-ტყეპით დაბრუნა, ოპოზიციის მოღვაწეების დაჭრა, მათი დაცხრილვა რეზინის ტყვიებით, სისხლი ქუჩებში, პოლიტიკური პატიმრების რიცხვის ზრდა, ბუნტი შეიარაღებულ ძალებში — ამ ფონზე გადაწყვიტეს სამხედრო წვრთნების ჩატარება. ეს, რა თქმა უნდა, მმართველი რეჟიმის მხარდაჭერად განიხილება.

**დემიტრი როგოზინი,  
რუსეთის  
წარმომადგენელი ნატოში:**



ნატოს წვრთნები საქართველოში არის უაზრო და პროვოკაციული. ზოგიერთი ამ წვრთნებს აღიქვამს როგორც პოლიტიკური ორიენტაციის ნაბიჯს და უფრო პოლიტიკური სულის მქონე გადაწყვეტილებას, ვიდრე სამშვიდობო წვრთნებს. აქედან გამომდინარე, აღნიშნული წვრთნები საქართველოში ამ დროს გამოიყურება როგორც შანტაჟი.

**ლამა ჩხარტიშვილი,  
პარტია „კონსერვატორების“  
წევრი**



საკავშილო ყოველთვის საკუთარი ჯგუფის დაცვას ცდილობს, რომელიც ამ მკვლევობებშია ჩართული. ბრძოლა უნდა გაგრძელდეს და ამ ამოცანის ამოხსნა სააკაშვილის წასვლით არის შესაძლებელი.

**იური ვაზაგაშვილი,  
დახვრეტილი  
ზურაბ ვაზაგაშვილის მამა:**



უზუნოები არიან და ამდენი ადამიანის სიცოცხლე შეინირეს. რწმენა რომ არ აქვს, ყოველთვის საშიშია ის ადამიანი. იძულებული ვართ, იმათგან დავიცვათ სიცოცხლე, ვინც ჩვენ უნდა გვიცავდეს.

**კომა დავითაშვილი,  
ოპოზიციის ერთ-ერთი ლიდერი:**



როცა ეკა ზღულაძე გამოდის და ამბობს, რომ ადგილი ჰქონდა ხალხის მხრიდან პოლიციის მიმართ კრიმინალურ თავდასხმას, ისინი თავად არიან კრიმინალები, ამ დარღვევისთვის პასუხს ზღულაძე და მერაბიშვილი აგებენ.

**ზურაბ ნოლაძე,  
ექს-პრემიერ-მინისტრი:**



საკავშილო სიტუაციას ვეღარ აკონტროლებს. ქვეყანაში ვითარება უკიდურესად დაძაბულია და კრიტიკულ ზღვარს უახლოვდება, საიდანაც ერთადერთი გამოსავალი ხელისუფლების ძირეული ცვლილება და ვადამდელი საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნებია.

**გუბაზ სანიკიძე,  
„ეროვნული ფორუმის“  
ერთ-ერთი ლიდერი:**



ვადისტურებო, რომ ქვეყანაში შექმნილი კრიზისიდან გამოსვლის გზად გვესახება სააკაშვილისა და მისი რეჟიმის კონსტრუქციული და მშვიდობიანი გზით შეცვლა.

**ვაჟა ლორთქიფანიძე,  
პოლიტოლოგი:**



ქვეყნის კრიზისიდან გამოსავანად ყველა უნარიანი ადამიანი უნდა იქნას გამოყენებული — ოპოზიციონერიც, „ნაციონალიც“ და რიგითი მოქალაქეც.

მაქროეკონომიკა



დავით ბარკადიშვილი, „რესპუბლიკური პარტიის“ ერთ-ერთი ლიდერი:

26 მაისს ამ მოედანზე ვერ იქნება მიხეილ სააკაშვილი იმის მიუხედავად, თუ რა ერქმევა მას ფორმალურად, რადგან ეს მოედანი ეკუთვნის ხალხს, რომელიც თავისუფლების ღირსია.



სოსო შატბარაშვილი, ლეიბორისტული პარტიის ერთ-ერთი ლიდერი:

ქართველ ხალხს არა მოძალადე, არამედ ხალხზე მზრუნველი პრეზიდენტი სჭირდება. ტყუილს კიდევ ძალადობა დაემატა. ახლა გამოზრდით, ბატონო მიხეილ, და პასუხი აგეთ იმისთვის, რაც გუშინ ორ ახალგაზრდას დაემართა, მათ მხედველობა დაკარგეს.



ნინო გურჯანაძე, ოპოზიციის ერთ-ერთი ლიდერი:

მიხეილ სააკაშვილს საქართველო რომ ჰყვარებოდა, პრეზიდენტის თანამდებობა აგვისტოში უნდა დაეტოვებინა.



ოტარ მელქიძე, მსახიობი:

დიდი ცოდვა გვაქვს და ცოდვამ გვინია. ჩვენი დიდი ცოდვა სააკაშვილია. ამ ცოდვას გამოსყიდვა სჭირდება, ამ ცოდვას მოცილება სჭირდება.



დავით საბანელიძე, „ახალი მემარჯვენეების“ ერთ-ერთი ლიდერი:

პრეზიდენტი და პარლამენტის თავმჯდომარე ხალხის არჩეული რომ იყოს, ამდენს ვერ გაბედავენ.



მომბ სანიძე, ოპოზიციის ერთ-ერთი ლიდერი:

ბოკერია, შენადირა, შემთხვევით შენ, მერაბიშვილს და კეზერაშვილს ბინა, მანქანა ან ახალი ბიზნესი ხომ არ გაგიჩნდა?



მანანა ნატსვილიძე, „ახალი მემარჯვენეების“ ერთ-ერთი ლიდერი:

ნებისმიერ საპარლამენტო არჩევნებს, რომელიც ვანო მერაბიშვილის მინისტრობის, არსებული ცენტრალური საარჩევნო ადმინისტრაციების და გამგებლების პირობებში ჩატარდება, ისეთივე შედეგები ექნება, რაც 21 მაისის არჩევნებს ჰქონდა.



ლევან ბაგალაძე, ოპოზიციის ერთ-ერთი ლიდერი:

ის ვითარება, რაც არის საქართველოში, სცილდება ყოველგვარი ნორმის ფარგლებს. მიმაჩნია, რომ პოლიტიკური და სახელმწიფოებრივი კრიზისის არალიარება არის დანაშაული სახელმწიფოს წინაშე.



კახა პარტავა, „ეროვნული ფორუმის“ ლიდერი:

ხვალ-ზეგ საყოველთაო განგაშს და მობილიზაციას გამოვაცხადებთ. ყველანი გარეთ, საქართველოს დასაცავად. საქართველოს გარეშე დავტოვებთ მათ, ვინც ცდილობდა, ჩვენთვის საქართველო წაერთმია.

თვალაოთსრილ მომიტინგეებს „მერაბიშვილის კანტორა“ ატერორებს

მას შემდეგ, რაც ცნობილი გახდა, რომ საპროტესტო მოძრაობის აქტივისტი მოზარდები დააკავეს, სასტიკად სცემეს, პოლიციის სამმართველოში გამოამწყვდიეს და გაუპატიურებით დაემუქრნენ, მომიტინგეები რუსთაველის გამზირიდან დიღმისკენ დაიძრნენ და პოლიციის სამმართველოს შენობასთან აქცია გამართეს. იმ დღეს პოლიციის თანამშრომლებმა „თავდაცვის“ მიზნით რეზინის ტყვიებით უხვად გამოიყენეს, ხელკეტებიც ლეკურივით ატრიალეს და დაკავებული ახალგაზრდების ბედით აღშფოთებული მომიტინგეების რიგებიდან ზოგი საკანში გააძვინეს, ზოგიც — საავადმყოფოში. ორმა მამაკაცმა — დავით ჩანტლაძემ და ირაკლი ხომასურიძემ სიმართლისა და დემოკრატიისათვის ბრძოლას საკუთარი თვალის შეხსნის და თვალის სინათლეს. რეზინისა თუ პლასტმასის ტყვიის დამიზნებით მოხვედრის შედეგად ორივე მათგანმა თვალი დაკარგა. მომხდარზე დაზარალებულებს, მათი ოჯახის წევრებს, ნათესავებს, მეგობრებს, ადამიანის უფლებათა დამცველებს, არასამთავრობოებს, სამთავრობოებს, ოპოზიციონერებს და თვით სახალხო დამცველის აპარატს შეთქმულებივით დუმან.



სულ ორივე ნაბიჯიდან ნასროლი.

კვლავ მედიკოსთა იმედად დარჩენილმა უკვე რესპუბლიკურ საავადმყოფოს მივლით. მეორე დაზარალებულს, ირაკლი ხომასურიძეს, სწორედ იქ გაუკეთა თვალის ურთულესი ოპერაცია ქირურგმა მალხაზ ჩიქოვანმა. როგორც მითხრეს, ირაკლი უკვე ვენის კლინიკაშია მკურნალობის გასაგრძელებლად. ტელეფონით დაზარალებულის დედა, ქალბატონი შუშუნა მესაუბრა: — დღეს მიდის ირაკლი. — სად? — მგონი, საოპერაციოდ მიჰყავთ.

— სად? — ვენაში. — ვის მიჰყავს? — ვერაფერს გეტყვით, ერთი ოპერაცია აქ გაუკეთეს... მოითმინეთ, ჩემი ქალბატონი დაგელაპარაკებათ... — დღეს მიდის ირაკლი. — სად? — მგონი, საოპერაციოდ მიჰყავთ.

საუბარი ირაკლის დამ — თამრიკომ განაგრძო: — თვალი იმდენად ცუდ მდგომარეობაში ჰქონდა, ბევრი ექიმი საერთოდ არ მოჰკიდებდა ხელს. რესპუბლიკური საავადმყოფოს ექიმმა მალხაზ ჩიქოვანმა გარისკა. რამდენადაც ვიცი, მეორე დაზარალებულსაც დაკარგა თვალი. ადრე ჩვენთან ახლოს ცხოვრობდა. თუ არ ვცდები, დათო ჰქვიია, თუმცა ჩემი ძმა მას არ იცნობს. ორთაჭალაში ინვა და პირდაპირ თვალისაგან ამოუღეს ტყვია. ირაკლი ახლა ვენაში მიჰყავთ, ჯერჯერობით არ ვიცი, იქ მაინც თუ არის შესაძლებელი მხედველობის აღდგენაზე ფიქრი.

— ირაკლის თვალში ნამდვილად ტყვია მოხვდა? — ექიმი ამ ვერსიას არ გამოირიცხავს და თვითონ ირაკლიც ასევე ფიქრობს. ჩემი ძმა ტელეეკრანზე დანახვას, წინა ხაზზე იდგა და ორივე მხარეს აწყენებდა — ძმები დგანან, ნუ ისვრით, ღმერთმა დაგლოცოთო. და უცებ, თავად მოხვდა ტყვია, თანაც, ახლო მანძილიდან,

სულ ორივე ნაბიჯიდან ნასროლი. — ორი ნაბიჯის დაშორებიდან შიგ თვალში დაუმიზნეს და ესროლეს? — დიახ, დაახლოებით ეს მანძილი იქნებოდა. — ამ შემთხვევამდე როგორ ცხოვრობდა ირაკლი? — ნაძალადევი ლეთისმშობლის ეკლესიაში მუშაობდა, იქ სკოლაა, რომელსაც პატრონობდა და ლეთისმსახურებთან ატარებდა უმეტეს დროს. — მიტინგებზე რატომ დადიოდა? — ჩემი ძმა უსამართლობას არასდროს შერიგებია, ყოველთვის ხალხისკენ მიუხედავად გული და ხშირად იმასაც ამბობდა, — სადაც ხალხია, მეც იქ უნდა ვიყო. იმ დღეს უზომოდ განიცადა იმ დაჭერილი ბავშვების ამბავი, რომელთა გამოც აღმოჩნდა ეს ხალხი პოლიციის შენობასთან, თუმცა შენობაში შეჭრის სურვილი არავის ჰქონია. ირაკლი არასდროს ემბრობდა ამგვარ ქმედებებს, უბრალოდ, დადგა იქ, სადაც ხალხი იყო და, როგორც შეეძლო, ცდილობდა, რომ არც ერთი მხრიდან არ მომხდარიყო რაღაც გამოუსწორებელი.

— თქვენ როგორ ფიქრობთ, თუ ამ ყველაფერს შედეგად ხელისუფლების შეცვლა მოჰყვება, ჩათვლით, რომ ღირდა მიზანი ამ მსხვერპლად? — ირაკლი ყოველთვის მტკიცეულიად განიცდიდა თავისი ქვეყნის ბედს. სხვათა შორის, 9 აპრილსაც დაკარგა თვალი ერთმა ბიჭმა და მამის ის ჩემმა ძმამ საკუთარი მხრებით გამოიყვანა. ნოემბრის დარბევის დროსაც იქ იყო და... ამ დროს ყურმილში მამაკაცის ხმა გაისმა, — რას ელაპარაკები, რა იცი, ვინ არისო და... კავშირი განწყდა. რამდენჯერმე ისევ ვცადე დაკავშირება, მაგრამ — უშედეგოდ.

საკაშვილის „დემოკრატიული“ რეჟიმის მონდობით თვალისჩინდაკარგულებთან მისასვლელი გზის ძებნა ოპოზიციის ლიდერებისაგან დაიწყო, მათ ხელეობი გაასახსრეს, — ჩვენი წარმომადგენელი არ გახლავთ, არაფერი ვიცით და ჯობია, სახალხო დამცველის აპარატს მიმართოთ, მათ აქვთ დაზარალებულების შესახებ ცნობები. მივმართე და მრავალჯერაც დავუკავშირდი სუბარის მოადგილე გიორგი ჩხეიძეს, მაგრამ საუკეთესო პასუხი, რომელიც მისგან მოვისმინე, „არაფერი დამინახავს, არაფერი გამიგონია, არავის არაფერს ვეტყვის“ ჰგავდა: — შეცდომით მოგასწავლეს, ჩვენ ამ ადამიანებზე ინფორმაცია არ გვაქვს.

— იქნებ სახელები მაინც მითხრა? — არა, არ ვიცით, არ გვაქვს საკონტაქტო ინფორმაცია, ისინი არ შემოგვხვდებიან, ვინ მოგასწავლათ? — მაშინ ის მითხარით, რატომ იმალეხებიან დაზარალებულები და რატომ არავინ არაფერი იცის მათზე? — არ ვიცი, რატომ იმალეხებიან, მაგრამ ჩვენ არ გვაქვს საკონტაქტო ინფორმაცია. — არ დანტერესებულხართ, ვინ არიან, არც საავადმყოფოში მოგვიტოხავთ, სახელიც კი არ გაგიგიათ? — ჩვენ ახლა თანმიმდევრობით ვსწავლობთ ყველა დაზარალებულის მდგომარეობას, ამ მომენტისათვის მათ შესახებ ინფორმაცია არ გვაქვს, რომ გვექონდეს, მათი თანხმობის შემთხვევაში მოგვცემდით.

— შემთხვევით, ის მაინც ხომ არ იცით, რომელ საავადმყოფოში წაიყვანეს თვალგამოთხრილები? — არა, ჩვენს აპარატს მათ შესახებ ინფორმაცია ვერ გვქონდა, მათი მდებარეობა მოვიპოვოთ, მაგრამ, როგორც ვითხარით, თანმიმდევრობით მივყევით. ჯერჯერობით მათთან ვემუშაობთ, ვინც მოგვმართა. ერთბაშად ვერ მოვახერხებთ ამ ყველაფერს.

— ბოლოს ისევ ორთაჭალის თვალის კლინიკის ექიმებმა მიშველეს, თუმცა ინფორმაცია

— ირაკლის თვალში ნამდვილად ტყვია მოხვდა? — ექიმი ამ ვერსიას არ გამოირიცხავს და თვითონ ირაკლიც ასევე ფიქრობს. ჩემი ძმა ტელეეკრანზე დანახვას, წინა ხაზზე იდგა და ორივე მხარეს აწყენებდა — ძმები დგანან, ნუ ისვრით, ღმერთმა დაგლოცოთო. და უცებ, თავად მოხვდა ტყვია, თანაც, ახლო მანძილიდან,

P.S. ამ მასალაზე მუშაობის დანებამდე გამაფრთხილეს, რომ თვალდაკარგულები ისე შეაშინეს და გააჩუმეს, ვერც მათ და ვერც სხვას ვერაფერს ათქმევინებო. არ ვიცი, როგორ გააჩუმეს, ან ვინ გააჩუმა, ფაქტი ისაა, რომ მართლაც ყველას დუმილი ურჩევნია. არსებობს ვერსია, რომ ისინი „მერაბიშვილის კანტორამ“ სერიოზულად „დაამუშავა“. ამ ადამიანებს თვალის ამოთხრა არ აკმარეს და მკურნალობის ხარჯების დაფარვის საწინააღმდეგოდად აიძულებენ, პირში წყალი ჩაიგუბონ. აფერუმ, დემოკრატიაც ამას ჰქვიია! იმედს ვიტოვებ, ჩემი ზარების გამო რაიმე ახალ სადარდებულს არ გავუჩენ მათ. რაც შეეხება ნიუგებს, დიდი ილიას უკვდავ სიტყვებს გავიმეორებ: „ჩემო თვალის სინათლეს, რაზედ მოგიწყენია?... ანმყო თუ არა გვეწყალობს, მომავალი ჩვენია...“ წარმეული მომავლის დაბრუნება უმსხვერპლოდ არ ხდება ხოლმე. ღმერთმა ქნას, მსხვერპლი, რომელიც მომავლისათვის თითოეული ჩვენგანის ნაცვლად გაიღეს ირაკლი ხომასურიძემ და დავით ჩანტლაძემ, საკმარისი აღმოჩნდეს უმოწყალო ანმყოს უკეთესი მომავლით შესაცვლელად.

თემურ ქორიძე:

# ზვიადის არჩევანი



...ზვიადის მდივანი ნინასნარ გავაფრთხილე — პრეზიდენტის უფროსი უნდა მოვიდეს-მეთქი. შევატყვევე, ჩემი ნათქვამი ხუმრობად მიიღო. მაგრამ როდესაც პრეზიდენტი მოწინებებით კიბესთან შეეგება თავის მასწავლებელს, გამოუცდელი მდივანი მაშინვე მიხვდა, რომ მას და ზვიად გამსახურდიას სუბორდინაციის ცნება სხვადასხვაგვარად ესმოდათ...

„არ დაილაღეთ?“ — ჰკითხა ერთმა ურნალისტმა ზვიად გამსახურდიას. კაცმა რომ თქვას, ეს შეკითხვა მისთვის მოულოდნელი არც უნდა ყოფილიყო. 1989 წლის სექტემბერი იდგა. მღელვარებით აღსავსე ბოზოქარ დღეებს დასასრული არ უჩანდა. წინ კიდევ უფრო შიშველი იდგა.

„არა, არ დავლილვარ, — მშვიდად პასუხობს მუდამ მოუსვენარი რესპონდენტი, — მე უთქმელია და უმოქმედობა მტელი. მთელი ჩემი შეგნებული ცხოვრება თითქმის პატიმრობაში გაატარე. იყო ნამდვილი პატიმრობა, შინაპატიმრობა, გადასახლება, ციხე... იყო პერიოდი, ლუკმაპური უჭირდა ჩემს ცოლ-შვილს, მაგრამ მე სხვაგვარად არ შემიძლო. მე ჩემი ცხოვრება თხუთმეტი წლისამ დაიწყო. აი, ამ სახლში მუდამ საქართველოზე იყო ლაპარაკი. იკრიბებოდნენ მწერლები, მეცნიერები... გარეთ რომ ვერაფერს ამბობდნენ, აქ ბჭობდნენ, ჭირისუფლობდნენ, გულს იოხებდნენ... მე აქ საქართველოს დამოუკიდებლობისათვის მებრძოლთა აკადემია გავიარე და მისი ღალატი არასოდეს მიფიქრია... ადამიანში არის რაღაც, რასაც ვერაფრით შეცვლი. ალბათ, ესაა ბედისწერა. მე არასოდეს მიფიქრია სხვაგვარ ცხოვრებაზე“ (გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტი“, 8.09.1989 წ.).

ამ დროს ზვიად გამსახურდიამ უკვე ორმოცდაათი წლისაა, მდიდარი გამოცდილებით აღსავსე ჩამოყალიბებული პიროვნება და ინტელექტუალური აქტიურობის ზენიტში იმყოფება. ასე რომ, მას უკვე ბოლომდე გააზრებული აქვს თავისი არჩევანი, ცხოვრების მიზანი და ფილოსოფია. თითქოს ძნელი წარმოსადგენია, მაგრამ ეს დაუოკებელი მემბოხე ამჯერად მორჩილად იდგა ბედისწერის წინაშე, „სხვაგვარად არ შემიძლო“, „სხვაგვარ ცხოვრებაზე არ მიფიქრია“...

დაახ. ზვიადმა თავადვე შემოხაზა საკუთარი ბედისწერის საზღვარი. თუ ვინმე პათეტიკურ ნათქვამად არ ჩამოთვლის, ეს იყო ერისკაცის, მამულიშვილის, მარტ-

ვილის უძნელესი გზა, რომლის სიგრძე-სიგანე მუდამ მხოლოდ მის გათვლავში დაღვრილი ოფლითა და სისხლით იზომება.

\*\*\*

უზენაესი საბჭოს თავმჯდომარედ თითქმის ერთხმად აირჩიეს. სხდომაზე შესვენება გამოცხადდა. მოულოდნელად სადღაც გაუჩინარდა. როგორც იქნა, მივაგენი. პატარა ოთახში განმარტოებულიყო და გამალებით რაღაცას წერდა. გილოცავთ-მეთქი, — ვუთხარი და გადავეხვიე. თავი ასწია. მის თვალებში გაკვირვება და ერთგვარი წყენა გამოსჭვივდა. — „რას მილოცავ, განა ჩვენ ამისთვის ვიბრძვი?“ — ეს სიტყვები ისე გულწრფელად იყო ნათქვამი, რომ ისღა დამრჩენოდა, მისთვის ბოდიში მომეხადა. მართლაც, რა მისალოცი იყო ახალი ტვირთის წამოკიდება — კვლავ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში ჩაბმა და მორიგი განსაცდელის პირისპირ დადგომა?!

ტრადიციისამებრ, ბევრი, ალბათ, სიამოვნებით მიიღებდა ამგვარ მილოცვას და ხელისუფლების სათავეში მოსვლას დიდ გააზრებულად მიიჩნევდა, მაგრამ ზვიად გამსახურდიასთვის ხელისუფლება მხოლოდ ერთ-ერთი საშუალება და ბერკეტი იყო საწევარი ოცნების ხორცშესახსმელად.

თავდაპირველად უარს ამბობდა, არ სურდა არჩევნებში მონაწილეობის მიღება. თქვენ შედით პარლამენტში, მე კი გარედან დაგიჭერთ მხარსო, — გვეუბნებოდა. იცოდა, როგორი სამიზნე ხდებოდა მონაწილემდეგეთათვის. არადა, ისტორიული უშიშრობა იყო. სამშობლო მისგან გადაწყვეტი ნაბიჯის გადადგმას ითხოვდა და, ბოლოს და ბოლოს, მან ეს ნაბიჯიც გადადგა.

წინასწარჩვენი შეხვედრებზე მხარდაჭერის მოპოვებას არ ეშურებოდა. ხალხს უფრო დიდი, ჭეშმარიტად ისტორიული არჩევანისთვის რაზმავდა. 1990 წლის 26 მაისს განსაცვიფრებელი სიტყვა წარმოთქვა. ეს იყო ორატორული

ხელოვნების ნამდვილი შედეგრი, ნათელი და მკაფიო იდეალის გაბრწყინება, რომელმაც მაშინ ერთბაშად შეძრა და ფეხზე დააყენა მთელი საქართველო. „აი, მოდის ახალი არჩევანი. წარმოვიდგათ უფალი, ძმანო და დანო, წარმოვიდგათ უფალი და გეუბნებათ: ქართველო ერო, შენ წინაშე არის ორი გზა, შენი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა მივიდა გზავსაყართან. აი, გზა ილია მართლისა, აი, გზა სინმინდის, ზნეობისა, აი, გზა დემოკრატიისა, აი, გზა ჭეშმარიტებისა და უმანკობისა და აი, გზა ყაჩაღობისა და მზაკვრობისა, აი, გზა ტერორიზმისა! აირჩიე, ქართველებო, აირჩიე ქრისტეს გზა და კეთილისა გზა, აირჩიე ილია მართლისა გზა, რამეთუ ეს გზა განსაწმენდელთან მიგვიყვანს!“

არავითარი მოწოდება — მხარი დამიჭირეთო, არავითარი თხოვნა — ხმა მომეცით და მე გამომარჩიეთო... არა! ჭეშმარიტი გზა, ილიას გზა აირჩიეთო, მიმართავდა ქართველობას, უხსნიდა, მოძღვრავდა და შთავგონებდა მთელ საქართველოს. და საქართველომაც აირჩია! ზვიადი აირჩია, კაცი, ვინც ერს ამ ძნელ გზაზე უნდა გასძლიოდა.

\*\*\*

სესიის დაწყებამდე მის კაბინეტში შევიდვარ. მაგიდაზე წიგნები გაუშლია. წერით ისეა გართული, მგონი, ვერც მამჩნევს. რა ვქნა, ისე ვარ დაკავებული, წლიური თემის ჩაბარება დამიგვიანდაო, — თავაუღებლად მეუბნება და სკამს მთავაზობს. მცირე ხნის შემდეგ „ვეფხისტყაოსნის“ სახის-მეტყველების“ ბოლო თავზე იწყებს საუბარს. კვლავ უდროობას უჩივის, წუხს, აქაურობამ ყველაფერს მომწყვითაო...

საქმე ის არის, რომ ზვიად გამსახურდიამ, ისევე, როგორც სხვა რამდენიმე დეპუტატი, პარლამენტში ლიტერატურის ინსტიტუტიდან შევედით. ნოემბერ-დეკემბერში კი იქ წლიური თემების კითხვა მიმდინარეობდა.

„ვეფხისტყაოსნის“ სახის-მეტყველება“ მისი ხუთწლიანი სამეცნიერო ნაშრომი იყო. გატაცებით მუშაობდა. ზერელე და ზედაპირული საქმიანობა არ შეეძლო. ხელისუფლების სათავეში ყოფნის დროსაც კი თავისი შთავგონების ამ მაცოცხლებელი წყაროსთვის ზურგი არ შეუქცევია.

ერთხელ ან განსვენებული ალექსანდრე ბარამიძე, ჩვენი ინსტიტუტის მაშინდელი დირექტორი, მობრძანდა. ზვიადის მდივანი ნინასნარ გავაფრთხილე — პრეზიდენტის უფროსი უნდა მოვიდეს-მეთქი. შევატყვევე, ჩემი ნათქვამი ხუმრობად მიიღო. მაგრამ როდესაც პრეზიდენტი მოწინებებით კიბესთან შეეგება თავის მასწავლებელს, გამოუცდელი მდივანი მაშინვე მიხვდა, რომ მას და ზვიად გამსახურდიას სუბორდინაციის ცნება სხვადასხვაგვარად ესმოდათ.

\*\*\*

თავის ერთ მშვენიერ ესეში ხაზგასმით შენიშნავდა: „წუარვის გაუკვირდება, რომ მე შეღლიზე საუბარს მისი აღსასრული ვიწყებ. პოეტის ცხოვრების ფინალი ხშირად დასაწყისია მისი შემოქმედების ჭეშმარიტად სიმბოლურია და ძირეულზე მიუთითებს“. ასევე შეიძლება ითქვას, რომ ზვიად გამსახურდიას აღსასრული ცხოვრების ტრაგიკული ფინალი, მართლაც ზუსტი გასაღებია მისივე შემოქმედების გასაგებად.

მისი პოეტური ქმნილებები ღრმა ქრისტიანული სულიკვეთებით არის აღსავსე. შესაბამისად, ლირიკული პერსონაჟებიც გამოკვეთილი რელიგიური განწყობით გამოირჩევიან და გარდასულ

დროთა არქაულ სურნელს აფრქვევენ.

**გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ღვათი ბუკაშივილის შედეგ ქართული ლირიკის საბანქარო თითქმის არ მოიპოვება ქრისტიანული ბიბლიური თემატიკის ისეთი უარიანო, პარიანო, გომორის ეს ზვიად გამსახურდიას ლექსებში.**

მოსკოვში აღლუმი წელსაც ჩატარდება, დიდი სამამულო ომის გამარჯვებით დასრულების 64-ე წლისთავს წითელ მოედანზე რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო ევროპაში მოუძღვრება. აღლუმს მოსკოვის სამხედრო ოლქის ჯარების გენერალ-პოლკოვნიკი ვალერი გერასიმოვი მეთაურობდა. საზეიმო მსყობრში 9 ათასამდე სამხედრო მოსამსახურემ, მექანიზებული კოლონის შემადგენლობაში კი 103-მა მანქანამ გაიარა. აღლუმის ყველაზე ლამაზი სანახაობა 69 თითმფრინავისა და ვერტმფრენის გადაფრენა იყო. სამხედრო უწყების ინფორმაციით, წლებთანადგილ აღლუმი 2010 წლის 9 მაისისათვის დაგეგმილი იმ გრანდიოზული სანახაობის გენერალური რეპეტიცია იყო, რომელიც ფაშიზმზე გამარჯვების 65 წლისთავს მიეძღვნება. მსვლელობა მედოლეების ასეულმა გახსნა, ამას მოჰყვა სამი მედროვე ჯგუფის მიერ რუსეთის ფედერაციის, გამარჯვებისა და

შეიარაღებული ძალების დროშების გამოტანა. შემდეგ კი სამი სახეობის შეიარაღებული ძალების სამხედროებისაგან შემდგარმა საპატიო ყარაულმა ჩაიარა. ამის შემდეგ აღლუმზე სამხედრო სასწავლებლებისა და აკადემიების, ასევე სამოქალაქო თავდაცვის აკადემიის, მოსკოვის სასახლერო ინსტიტუტისა და შინაგან უსაფრთხოების სამინისტროს შინაგანი ჯარის 420 ადამიანისაგან შემდგარმა 18-მა ნაწილმა ჩაიარა. სამხედრო ორკესტრის ნაკრებში ათასამდე ადამიანი მონაწილეობდა.

აღლუმში მონაწილე მთელი მუხლუხოვანი ტექნიკა „გადაცემული“ იყო სპეციალურ „ფესხაცემელი“, რათა დედაქალაქის ქუჩებში ასფალტი არ დაზიანებულიყო. მსვლელობას წინ უძღვოდა „ГАЗ-2330 14 Тигр“-ების კოლონა, შემდეგ მოდიოდნენ მოტომსროლელი ჯარების შემადგენლობაში შემავალი „БТР-80“-ის, „БМП-3“-ისა და „Т-90“-ის კოლონები. საჰაერო-სადესანტო ძალები აღლუმზე წარმოადგინა თვითმავალმა ტანკსანააღმდეგო ქვემეხმა „Спрут“-მა.

საარტილერიო ძალები — თვითმავალმა ჰაუბიცამ



„Мста-М“, რომელსაც ოპერატიულ-ტაქტიკური სარაკეტო კომპლექსის „Искандер-М“-ისა და საზენიტო-სარაკეტო კომპლექსების „Бук“-ის, „С-300“ „Фаворит“-ის და С-400 „Триумф“-ის კოლონები მოჰყვებოდა.

ჯავშანტექნიკის მსვლელობა საზღვაო, სახმელეთო და საჰაერო დროშების გატარებით დასრულდა.

სავაიაციო აღლუმი გახსნა სამმა „Ми-8“-მ, სახელმწიფოს, თავდაცვის სამინისტროსა და საჰაერო ძალების დროშებით. ამას მოჰყვა ვერტმფრენების „Ми-26“-ის, ორი „Ка-50 Черная акула“-სა და ორი „Ка-52 Аллигатор“-ის გადაფრენა. შემდეგ წითელი მოედნის თავზე სამი „Ми-28“ „Ночной охотник“ და ექვსი „Ми-26“ გამოჩნდა. მათ სახელგანთქმული „АН-124“, „Пуслан“, „А-50“, „Ту-95“, „Медведь“ და „Ту-16“ „Лебедь“ ჩაენაცვლენ. ბოლოს უახლესი ბომბდამშენი „Су-34“-იც გამოჩნდა.

აღლუმი რუსეთის ფედერაციის თავდაცვის მინისტრმა ანატოლი სერდუკოვმა მიიღო.

ისევე, როგორც შარშან, სამხედრო თვითმფრინავებმა აღლუმზე წელსაც მოახდინეს საწვავის ავების ჰაერში შევსების დემონსტრირება.

აღლუმისათვის მზადების პერიოდში ცხრა რეპეტიცია ჩატარდა, გენერალური რეპეტიცია კი 7 მაისს, დილის ათ საათზე, დაიწყო. გარდა ამისა, აღლუმის მონაწილეები საჭიროების მიხედვით ვარჯიშობდნენ საკუთარი დისლოკაციის ადგილებშიც.

იმისათვის, რომ სამხედრო მარშები უფრო ხმამაღლა და უფრო ხარისხიანად გაეგრეზულიყო, წლებთანადგილ აღლუმზე ორკესტრის 550-კაციანი შემადგენლობა თითქმის გაორმაგდა. შარშანდელთან შედარებით ასევე გაორმაგდა წარმოდგენილ საავაიაციო ერთეულთა რაოდენობაც, რათა სანახაობა ბევრად უფრო ლამაზი და მასშტაბური ყოფილიყო. აღლუმში წელს პირველად მო-

ნაწილეობდა იაროსლავის საზენიტო-სარაკეტო სასწავლებელი და ბალტიის საზღვაო-საბრძოლო ინსტიტუტი.

გარდა ამისა, შარშანდელ აღლუმზე თითოეულ ბატალიონში მებრძოლების ჩათვლით 367 ადამიანი შედიოდა, წელს კი ეს რაოდენობა 420-მდე გაიზარდა. აღნიშნული ცვლილება გამოიწვია საბჭოთა არმიის დროინდელი აღლუმების ტრადიციული წყობის აღდგენის სურვილი. ამგვარი წყობა გაცილებით უფრო წარმომადგენლობითად და მძლავრად გამოიყურება.

ისტორიულ ნაწილზე წლებთანადგილმა საცხრამისო აღლუმმა უარი თქვა, ვინაიდან მისთვის დრო აღარ მოიძებნა. აღლუმს, პრეზიდენტის გამოსვლის გარეშე, ზუსტად ერთი საათი დაეთმო. სამაგიეროდ, 2010 წლის საზეიმო აღლუმზე ისტორიული ნაწილი უეთვნილ ადგილს დაიკავებს, რადგან აღლუმის ხანგრძლივობა, სულ მცირე, ნახევარი საათით გაიზარდება. წლებთანადგილ აღლუმის დამსწრეებმა პირველად შეაფასეს ახალი სამხედრო ფორმა, რომელიც სამხედრო ნაწილებში ჯერ არ დარიგებულა.

რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტმა დიმიტრი მედვედევმა სააღლუმო ტრიბუნიდან ფაშიზმზე გამარჯვებას დღემდე აქტუალური გაკვეთილი უწოდა.

როგორც ჩანს, უსაფრთხო მსოფლიო არსებობს მხოლოდ იქ, სადაც მკაცრად და დაცული საერთაშორისო

სამართლის ნორმები და სწორედ ამიტომ გამოვიდა ჩვენი ქვეყანა ევროპული უსაფრთხოების ახალი შეთანხმების ინიციატორად... სამშობლოს დაცვა ჩვენი წმიდანანამიდა ვალდებულეა, ეს ყველა თაობის ზნეობრივი საფუძველია... და დღეს, ვიცავთ და ვამრავლებთ რა გამარჯვების ტრადიციებს, ამ მოედანზე ომის გმირების მემკვიდრეები გაივლიან. მათ შორის ისინიც არიან, ვინც რეალურ შეტაკებებში დაამტკიცეს თანამედროვე რუსული არმიის მაღალი ბრძოლისუნარიანობა. და ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ჩვენი მოქალაქეების სანააღმდეგო ნებისმიერ აგრესიას ღირსეული პასუხი გავცემთ, რუსეთის მომავალი კი იქნება მშვიდობიანი, წარმატებული და ბედნიერი... სულიერმა ძლიერებამ და სამშობლოსადმი ერთგულებამ, ფრინტელებო, შეგვაძლებინა, გადაგველახა რთული და გრძელი გზა გამარჯვებამდე. თქვენ შეცვალეთ მსოფლიო ისტორიის მსვლელობა. თქვენ არჩეთ სიცოცხლე და თავისუფლება მომავალ თაობებს, თითოეულ ჩვენგანს. და სწორედ ამიტომ, ვერანაირი მიმდინარე პრობლემები ვერ შეგვიშლის ხელს, შევასრულო ჩვენი ზნეობრივი ვალდებულებანი თქვენ წინაშე. ვეტერანების ღირსეული ცხოვრება ჩვენი საზოგადოების ერთ-ერთი უმთავრესი საზრუნავია, — ბრძანა პრეზიდენტმა მედვედევმა.

## მარშალი დიმიტრი იაზოვი: ომში ჩვენ დავკარგეთ 8 მილიონ 640 ათასი მებრძოლი

„კომსომოლს კაია პრავდას“ ისტორიაში ჯერ ასეთი რამ არ მომხდარა: გამარჯვების დღის წინ ჩვენთან სტუმრად მოვიდა ორი მარშალი — დიმიტრი იაზოვი და ვლადიმერ მისხალიჩინი.

მათ თან ახლდათ სამხედრო მოსამსახურეთა დეპუტატთა საქმეების საზოგადოებრივი პალატის კომისიის თავმჯდომარე ალექსანდრე კანიშინი. შურნალისტებმა სტუმრებს უამრავი შეკითხვა დაუსვეს იმის შესახებ, თუ რა დანაკარგები ჰქონდა აღმდგენლემ სსრ კავშირს დიდ სამამულო ომში. მარშალმა იაზოვმა უპასუხა: „როდესაც თავდაცვის მინისტრი ვიყავი, გამოვეცი ბრძანება კომისიის შექმნის შესახებ, რომელიც ამ საკითხს იკვლევდა. გაირკვა, რომ წითელი არმიის დანაკარგებმა 11 მილიონ 200 ათასი კაცი შეადგინა, თუმცა, ეს მონაცემები რამდენჯერმე ხელახლა დაზუსტდა. კერძოდ, გათვალისწინებული იქნა 936 ათასი სამხედრო მოსამსახურე, რომლებიც ტყვეობაში ან ოკუპირებულ ტერიტორიაზე იმყოფებოდნენ. ტყვეობიდან მხოლოდ 30 ათასი კაცი დაგვიბრუნეს ამერიკამ, კანადამ და ავსტრალიამ, სამხედრო დანაკარგების რიცხვი — 8 მილიონ 640

ათასი კაცი — ყველაზე სარწმუნოდ მიმაჩნია.“ აქ უნდა აღინიშნოს, რომ თავის დროზე ზოგიერთი საბჭოთა ისტორიკოსი ამტკიცებდა, რომ სამხედროების გარდა დანაკარგები მშვიდობიან მოსახლეობაში შეადგენდა 27-28 მილიონ კაცს. ჩვენმა სტუმრებმა გასაცხადეს, რომ ეს ციფრები „მეტად საეჭვოა“. მათი აზრით, სამოქალაქო მოსახლეობის დანაკარგი 10-12 მილიონი კაცია. „კომსომოლს კაია პრავდას“ შურნალისტები სახელგანთქმულ მხედართმთავერებს პირად საკითხებზეც ესაუბრნენ; მაგალითად, იმის შესახებ, თუ რა ვითარებაში შევიდნენ ისინი კომკავშირში. მარშალმა იაზოვმა გაიხსენა, რომ მან ზეპირად ისწავლა საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ისტორიის პირველი თავი; მარშალმა მისხალიჩინმა ალკე ნევერის ბილეთთან ერთად (როგორც ალკოპოლის არმოყვარულმა) ფრონტის სანგარში ჯილდოდ მიიღო სოიოს ბატონი.

ვიქტორ ბარანეცი

## ვალენტინ ივანეს კე ვარენიკოვის ხსოვნის აღსანიშნავად გარდაიცვალა ვალენტინ ივანეს კე ვარენიკოვი, არმიის გენერალი, საბჭოთა კავშირის გმირი

ის იყო ნამდვილი მოქალაქე, ნამდვილი ოფიცერი, ნამდვილი ადამიანი.

ვ. ვარენიკოვი გარდაიცვალა გამარჯვების დღის — მისთვის ყველაზე ნათელი დღესასწაულის წინა დღეს. გამარჯვებისათვის მან ბრძოლებით გაიარა ომის გზები სტალინგრადიდან ბერლინამდე, იბრძოდა სხვადასხვა ფრონტზე, გადალახა დნეპრი, უტევდა გერმანიის დედაქალაქს; სამჯერ დაიჭრა, მიიღო ოთხი საბრძოლო ორდენი, მონაწილეობდა ლეგენდარულ გამარჯვების პარადში. მსვლელობისას სათავეში ედგა საპატიო ყარაულს, რომელსაც პირველად გადაეცა ბერლინიდან მოსკოვში ჩამოტანილი გამარჯვების დროშა.

ვალენტინ ვარენიკოვის მთელი შემდგომი ცხოვრება განუყრელად იყო დაკავშირებული შეიარაღებულ ძალებთან. მან არა მარტო თანამედვერულად გაიარა ყველა სამეთაურო თანამდებობა სახმელეთო ჯარების მთავარსარდლამდე, სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრის მოადგილემდე, არამედ სამხედრო მისიების შემადგენლობაში წარმოადგენდა ჩვენს ქვეყანას და მის შეიარაღებულ ძალებს სირიაში, ანგოლაში, ვიეტნამში. ვალენტინ ვარენიკოვის

ბიოგრაფიის განსაკუთრებული ფურცელი ავლანეთი, სადაც რამდენიმე წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენლობას. ამ მაღალ პოსტზე მთავარი ამოცანა, რომელსაც გენერალი ვარენიკოვი უყენებდა ხელქვეითებს, იყო ჩვენი ჯარისკაცებისა და ოფიცრების სიცოცხლის დაცვა.

ღირსების ცნება ყოველთვის წმინდა იყო ვარენიკოვისათვის. მის თანამებრძოლთა ხსოვნისადმი ერთგული გენერალი არასოდეს ღალატობდა პატიოსნების, წესრიგისა და სამართლიანობის პრინციპებს. ეს ვლინდებოდა ვ. ვარენიკოვის როგორც ყოველდღიურ საქმიანობაში, ისე მისი ცხოვრების რთულ პერიოდებშიც. იგი ერთადერთია მათ შორის, ვინც დააპატიმრეს, ბრალი დასდეს და შემდეგ ამინსტირება გაუკეთეს ვერც ნოდებულ „გეკაჩეპეს“ საქმესთან დაკავშირებით და ვინც მოითხოვა მისი სასარგებლო პროცესის ღია და საჯაროდ წარმართვა და გაიმარჯვა კიდევ. ამით დაუდასტურა ყველას თავისი სიმართლე და სრული უდანაშაულობა.

ვალენტინ ვარენიკოვის პიროვნება სამშობლოსათ-



ვალენტინ ვარენიკოვი და ვლადიმერ მისხალიჩინი

ვის უანგარო, თავდადებული ადამიანის ნიმუშია...

ვგლოვობთ და გულწრფელად ვიზიარებთ ვალენტინ ვარენიკოვის ნათესავთა, ახლობელთა და მათ მწუხარებას, ვინც იცნობდა ამ შესანიშნავ ადამიანს. მოსკოვის ოლქის გუბერნატორი ბ. ვ. გრომოვი, რუსეთის ფედერაციის საბჭოს წარმომადგენელი მოსკოვის ოლქის მთავრობისაგან ნ. პ. ჩურკინი, მოსკოვის ოლქის ვიცე-გუბერნატორი ა. პ. პანტელევი, მოსკოვის ოლქის მთავრობის თავმჯდომარის პირველი მოადგილე ი. ო. პარხოშენკო, მოსკოვის ოლქის მთავ-

რობის თავმჯდომარის მოადგილე ვ. ვ. გრომოვი, მოსკოვის ოლქის მთავრობის აპარატის ხელმძღვანელი რ. ა. ავაპოვი, რუსეთის ფედერაციის ფედერალური საბჭოს სახელმწიფო დუმის დეპუტატი, ვეტერანთა სრულიად რუსეთის საზოგადოებრივი ორგანიზაციის „საბრძოლო ძმობის“ აღმასკომის თავმჯდომარე ლ. ბ. სერებროვი, მოსკოვის ოლქის გუბერნატორის მრჩეველი ვ. ს. კოტი, რუსეთის ფედერაციის ფედერალური საბჭოს სახელმწიფო დუმის დეპუტატი დ. ს. საბლინი.

რია „ნოვოსტი“

იური ყუკოვი:

# დროს, გადავარჩინოთ ჩვენი გამარჯვება

რატომ არის, რომ სიმართლე დიდ სამამულო ომზე ხშირად უსუსურია მის შესახებ გამოგონილი ათასგვარი სიცრუის წინაშე?

რაც მეტი დრო გადის 1941-1945 წლების მოვლენების შემდეგ, მით მეტი მითი, სიცრუე ჩნდება მათ შესახებ. ცილისწამებამ უკვე ისეთი მასშტაბები მიიღო, რომ რუსეთის ხელისუფლებამ სერიოზულად დაფიქრდა, თუ როგორ დაუპირისპირდეს ამ მოვლენას. ამით დაიწყო სწორედ „კომსომოლსკაია პრავდას“ სამხედრო მიმომხილველმა ვიქტორ ბარანევცამ საუბარი გაზეთის სტუმართა.

### სისხლის საპართლის კოლმოსიან - ცილისწამებელი

— ბატონო იური, ამას წინათ საგანგებო სიტუაციათა სამინისტროს ხელმძღვანელმა შოიგუმ დასვა საკითხი, აღიძრა სისხლის სამართლის საქმე იმათ მიმართ, ვინც უარყოფს სსრ კავშირის გამარჯვებას დიდ სამამულო ომში. როგორ მიგაჩნიათ ეს თქვენ?

— დიდი ხანია, დადგა დრო, რომ სახელმწიფო ჩაეროთ ამ პრობლემაში. ავადმყოფობა ძალიან შორს წავიდა.

— თქვენ როგორ წარმოგიდგენიათ ეს?

— რუსეთის მოქალაქეები, რომლებიც შეგნებულად ამახინჯებენ ისტორიის ფაქტებს, უნდა დაისჯონ სისხლის სამართლის წესით; თუ რისთვის — კარგად უნდა იყოს განსაზღვრული კანონში. რასაკვირველია, ეს უნდა გაკეთდეს ოფიციალურად, სასამართლოს მეშვეობით, წინასწარი სერიოზული ექსპერტიზით.

### მის ოცნებებს რუსეთში პიტლერაქოთა კამოზა?

— ომის შესახებ სიცრუის უკან იდუარო მოსაზრებებია თუ კიდევ სხვა მიზეზი?

— აი, მოსკოვის ყოფილი მერის გავრილ პოპოვის თითქმის ცინცხალი წიგნი „41-45 — ერთი ომი თუ სამი“ („სტალინის სამი ომი“ — ინტერნეტში). პოპოვი ცდილობს, დაამტკიცოს, რომ სინამდვილეში იყო არა ერთი ომი, არამედ — სამი! ერთი — ჩვენ წავაგეთ, ის, რომელიც დასაწყისში იყო. აქაოდა, მზად არ ვიყავით, სტალინი და მწიფე გეორგი ომი — ეს სამამულოა, როდესაც მთელი ხალხი ფეხზე დადგა; დაბოლოს, მესამე ომი — ეს უკვე 44-45 წლებია. ავტორი მას „სოციალიზმის ექსპანსიას“ უწოდებს. ესე იგი, გავრილ პოპოვის თქმით, გამოიწვიეს, რომ პოლონეთის, ბალკანეთის, უნგრეთის, ჩეხოსლოვაკიის გათავისუფლება ნაციონალური დამპყრობლებისაგან „სოციალიზმის ექსპანსიას“. მაშინ რატომ არა — კაპიტალიზმის ექსპანსია — მოკავშირეთა გადმოსხმა ნორმანდიაში? და როგორ დასკვნებს აკეთებს გავრილ პოპოვი? — ის გვთავაზობს რუსეთში სამხედროთა ძეგლების დადგმას.

— ვისი?

— ჩვენი ტყვეების, ჯარისკაცებისა და ოფიცრების, რომელთაც ზოგიერთმა მამაციურად გადაიტანა საკონცენტრაციო ბანაკების ყველა სა-

შინელება, ზოგი გერმანიის სამხედრო დანიშნულების ქარხნებში მუშაობდა, რათა გაეკეთებინა ზარბაზნები, ტანკები, თვითმფრინავები, „ფაუ“... შემდეგ — ჰოლოკოსტის ძეგლი. მაგრამ რა შუაშია აქ ჰოლოკოსტი? რა ურთიერთობა აქვს რუსეთს ჰოლოკოსტთან? შემდეგ — რეპრესირებული ხალხების ძეგლი. მაგრამ გავრილ არ ლაპარაკობს იმის შესახებ, რომ ყირიმელი თათრები და ებრაელები გერმანულმა სეფსტროპოლის დაპყრობაში; შექმნეს პოლიციის დატვირთვა რაზმები, რომლებიც ებრძოდნენ პარტიზანებს. არაფერს ამბობს იმის შესახებ, რომ ჩრდილოეთი კავკასიის ზოგიერთმა ხალხმა, არა მთლიანად, მაგრამ ნაწილობრივ, ჩაიცვა გერმანული ფორმა და იბრძოდა წითელი არმიის წინააღმდეგ.

— კიდევ ვის უკვდავოფასავთა ვაზაზობს პოპოვი?

— გვთავაზობს, ძეგლები დაუდგათ „გულაგის“ პატიმრებს. გავრილს, ეტყობა, არ უნდა, იცოდეს, რომ „გულაგის“ 90 პროცენტი იყვნენ ბანდიტები, მკვლელები, მოძალადეები, ხაზინის ქურდები, მძარცველები, მაგნიტები. არადა, ჩვენმა ისტორიულმა მეცნიერებამ, კერძოდ, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის გალინა ივანოვას მონოგრაფიამ ხომ სერიოზულად დაადასტურა, რომ პროფესიონალურ სისხლის სამართლის დამნაშავეებს არ სურდათ მუშაობა. მაშინ ბანაკში მიდიოდნენ სასამართლოები, რომლებიც მათ ასამართლებდნენ და აპატიმრებდნენ 58-ე მუხლით. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ბევრი მათგანი, ვისაც წარმოადგენდნენ სტალინის დიქტატორასთან მებრძოლებად, სინამდვილეში სისხლის სამართლის ყველაზე ჩვეულებრივი დამნაშავეები იყვნენ. ეს კიდევ არაფერია. პოპოვი დაუფიქრებლად გვთავაზობს, დაეუდგათ ძეგლები გენერლებს ვლასოვსა და კრასნოსს. მოლაღატებებს, რომლებიც ცდილობდნენ, ჩამოეყალიბებინათ თავიანთი შეიარაღებული ძალები, ისეთი უნიადაგო, უნიჭო, რომ გერმანელები მათ ფრონტზე არ უშვებდნენ. ისინი პოლიციურ ოპერაციებს ასრულებდნენ. აქ საჭიროა, გავიხსენოთ, რომ ლატვიელებმა, რომლებმაც ჩაიცვეს გერმანელთა ფორმები, გადაწვეს ბატონი. დიახ, საბჭოთა კავშირის დროს ამის შესახებ არც საუბრობდნენ, რომ არ გაეღივივებინათ ვნებათა ღელვანი.

მაგრამ დღეს ამის შესახებ



**პირადი საქმე**  
იური ყუკოვი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, დაიბადა 1938 წელს პოდმოსკოვის კრასნოვოსკოში. განათლება მიიღო მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და ისტორიულ-საარქივო ინსტიტუტში. მუშაობდა სახელმწიფო ისტორიულ მუზეუმში, ბეჭდვითი სიტყვის სააგენტო „ნოვოსტში“, სსრ კავშირის ისტორიის ინსტიტუტში. არის მრავალი მონოგრაფიისა და წიგნის ავტორი ქვეყნის ისტორიის შესახებ, მის პოლიტიკოსებსა და მხედართმთავრებზე. ამჟამად რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის რუსეთის ისტორიის ინსტიტუტის წამყვანი მეცნიერი მუშაობს, 2009 წლის 28 აპრილს ქართულ არასამთავრობო ორგანიზაცია „ისტორიულ მემკვიდრეობასთან“ მოსკოვში გამართული „მრგვალი მაგიდას“ მონაწილე.

უნდა ვილაპარაკოთ! როდესაც რიგის ქუჩებში მარშით დადიან იგივე ესეულები. უნდა შევასხენოთ, თუ რას აკეთებდნენ ისინი. და კიდევ, პოპოვი გვთავაზობს, დაეუდგათ ძეგლი... გერმანულ ჯარისკაცებს.

როგორია, ჰა? აი, თითქოს ახლაც ვხედავ, როგორ დგას თვალზე ცრემლმომდგარი პოპოვი ძეგლის გახსნის ცერემონიაზე და სამძიმარს უცხადებს გერმანულ ჯარისკაცებს, რომლებმაც, სამწუხაროდ, ვერ შეძლეს მოსკოვის თუ ლენინგრადის აღება...

### ისტორიას ვსვაფლობთ პიტლერაქოთა მემუარებში...

— როგორ გავიგოთ ეს ყველაფერი? შეცდომაა? ფაქტებისადმი თავისუფალი დამოკიდებულება? „ახალი შეხედულება“ ისტორიაზე? დივერსია?..

— ესაა პროამერიკული, ანტირუსული შეხედულების აშკარა გამოვლინება იმის შესახებ, რასაც ჩვენ სამართლმცოდნეობაში საამაღვლოდ დიდ სამამულო ომს ვწოდებთ. ზოგი ამას შეგნებლად აკეთებს, ზოგი — შეუგნებლად.

— ბევრი ჩივის რუსეთში პიტლერაქოთა მემუარების მოძალეობაზე და გამარჯვებულთა მოგონებების დეფიციტზე...

— ეს სამართლიანია. მიბრძანდით წიგნის ნებისმიერ დიდ მალაზიაში. რა ახყვია იქ? გენერლების ფონ ბოკის, გუდერიანის, მანშტეინის მოგონებანი, რომლებიც ომს წარმოგვიჩვენებენ თავიანთი სამრეკლოდან. მაგრამ თქვენ ვერ ნახავთ იქ ვასილევსკის, შუკოვის, როკოსოვსკის, კონევის მოგონებებს! ჩვენი გამარჯვებული მარშლების არც ერთი წიგნი არაა! თითქოს ჩვენმა გამომცემლებმა ისინი დაივიწყეს.

### პართლა გლოვსით სელაგანალოვად სტალინი ფრონტებს?

— უკვე დიდი ხანია, ითვლება, რომ სტალინს მხედველობიდან გამორჩა პიტლერის თავდასხმა სსრ კავშირზე, შეცდა ვადებში...

— სტალინის არავითარი შეცდომა არ ყოფილა თავდასხმის ვადების განსაზღვრაში! საქმის არსი სხვაა: ჩვენი სამხედრო ეკონომიკა აგრესიის

მოსაგერიებლად მზად იქნებოდა მხოლოდ 42 წლის ბოლოსათვის. გაიხსენეთ, რამდენი ომის დაწყების დროისათვის. სულ რაღაც ათეულები. ყველაფერი გათვლილი იყო წლინახევრით ადრე. რატომ? გერმანიის მრეწველობა, მიუხედავად გერმანიის განადგურებისა 1918 წელს, განაგრძობდა არსებობას, რჩებოდა ევროპაში ყველაზე ძლიერად. ჩვენ კი თითქმის არაფერი გავაჩვენებთ. ჩვენი მრეწველობის შექმნა და დაწყებული მხოლოდ პირველ ხუთწლეულში, 1929 წელს. აი, რა იყო ვითომდა მოუზღაღებლობის არსი. ჩვენ ვეშაღებოდით. მაგრამ 10 წლის განმავლობაში იმის გაკეთება, რაც გერმანიამ გააკეთა 100 წლის განმავლობაში, შეუძლებელი იყო.

უფრო მეტიც, არ უნდა დავივიწყოთ, რომ ომის დასაწყისისათვის გერმანელმა ჰქონდათ საბრძოლო გამოცდილების ორი ნელინადი (საფრანგეთში, ნორვეგიაში). ჩვენ კი მსგავსი გამოცდილება არ გვქონია. თანაც, ჩვენ წინააღმდეგ, გერმანიისა და მისი დივიზიების გარდა, იბრძოდნენ ფინელები, რუმინელები, უნგრელები, სლოვაკები, ხორვატები, იტალიელები, ესპანეთის ცისფერი დივიზია, საფრანგეთში, ბელგიაში, პოლონიაში, ნორვეგიაში ჩამოყალიბებული ლეგიონი. პიტლერის მოკავშირეები იყვნენ მოძვესლაგები — ბულგარელებიც კი. მართლაც, ჩვენ ებრძოდით მთელ ევროპას. 1944 წლის ზაფხულამდე საბჭოთა კავშირმა მარტო გადაიტანა ომის მთელი სიმძიმე.

### სმირად გაიგონებთ მტკიცებას იმის შესახებ, რომ სტალინი არმისა გლობუსით ხელმძღვანელობდა. რას იტყობან?

— ესაა ხრუშჩოვის მიერ შეთხზული ზღაპარი. მას ეზიზღებოდა სტალინი. აიღეთ ყველა მემუარი, რომლებიც ჩვენი მხედართმთავრების მიერაა დაწერილი. არსად გლობუსი არაა. იყო ერთი რამ: ყველას ერთი აზრი ჰქონდა — საჭიროა დარტყმა ამა და ამ ადგილას. და სტალინი სთავაზობდა ჩვენს მარშებს, განეზაზღვრათ, როგორ, რა ძალებით, კონკრეტულად — სად. და აიძულებდა მათ, საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე კარგად დაფიქრებულიყვნენ. ეს რა — გლობუსით ხელმძღვანელობა?

### დემოკრატია და ისტორიის სიმართლე

— ზოგიერთი ისტორიკოსი, მწერალი ამბობს, რომ ეს ტოტალიტარიზმის დროს იყო საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ისტორია, დიდი სამამულო ომის ენციკლოპედია, რომლებიც დამტკიცა სკკპ ცენტრალური კომიტეტმა. მათი გვერდის ავლა არ შეიძლება. ჩვენ კი ახლა ვცხოვრობთ დემოკრატიის დროს, და ამიტომ ნებადართულია ომის „თავისუფალი“ გაგება. იქნებ, ისინი სწორი არიან?

— მოდი, შევთანხმდეთ, რომ არის სხვადასხვა შეხედულება იმაზე, თუ რამდენია ორს რომ ორი მივუმატოთ. დაე, ერთმა ამტკიცოს, რომ არის 4, სხვებმა კი — 10. დაე, ამ „თავისუფალი გაგებით“ აშენონ სახლები, ავტომობილები, თვითმფრინავები. ვნახოთ, რა გამოუვათ. ისტორიის სიმართლე კი, როგორც გამრავლების ტაბულა, ერთია ყველასათვის.

### სად გაჩნდა კურსის მიმართობა?

— ამას წინათ ერთ-ერთი უფროსი გამოქვეყნდა ცნობილი ისტორიკოსის სტატია იმის შესახებ, რომ ჩვენი გამარჯვება კურსის ბრძოლაში მითი იყო... ჩვენ იქ გადავეყარეთ გერმანელების ტანკებს და მოკვარცხლეთ სხვადასხვა მიმართულებით...

— მეცოდება ის ხალხი, ვინც ასეთ ფსევდოსენსაციებით თხზავს. მაგრამ გეკითხებით, ვინ საით წავიდა კურსის რკალიდან? ჩვენ წავედით ალმოსავლეთისაკენ თუ გერმანიისაკენ — დასავლეთისაკენ? გერმანელები წავიდნენ დასავლეთისაკენ! ვინაიდან ომი წავიდა. ეს უდავოა!

### ისტორია მამალონი როდია

— თუ, დაუშვავთ, ისტორიკოსები ვერ გამოახავენ საერთო ენას, მაშინ რაღა უნდა ვთქვათ სკოლის მოსწავლეებსა და სტუდენტებზე? ვინ ეტყვის მათ სიმართლეს?

— ეს მნიშვნელოვანი პრობლემაა. მიმაჩნია, რომ უნდა შეიქმნას ისტორიის ერთიანი სახელმწიფო სახელმძღვანელო. გაიაროს მან წამყვანი მეცნიერების ხელში. გამოქვეყნდეს მათი აზრი, რომ ყველამ იცოდეს, რას ფიქრობენ ისინი ტექ-

სტზე. და როცა ყველაფერი შეთანხმდება, უნდა გამოუშვავთ სტანდარტული სახელმძღვანელო. არ უნდა იყოს ხუთი, ათი სახელმძღვანელო, რის გამოც მოსწავლეები და სტუდენტები ჭკუიდან გადადიან. ამ ცოტა ხნის წინათ ერთ ლონსიძეზე გამოვედი, რომელსაც განათლების მინისტრი ფურსენკო ესწრებოდა. მე მას პირში ვუთხარი, რომ იგი ყველას ატყუებს, როდესაც ამბობს, რომ სახელმძღვანელოები მოწმდება ისტორიის ინსტიტუტებში. მაგრამ ჩვენ ინსტიტუტში რუსეთის ისტორიის სახელმძღვანელოს ტექსტი არ წაუკითხავთ და არც მოუწონებიათ. სხვათა შორის, როდესაც ამერიკაში ვიყავი, გადავხედე ამერიკის ისტორიის სასკოლო სახელმძღვანელოს. ერთია, სტანდარტული! იქ არაა სამი, ოცი, როგორც ჩვენთან, — მხოლოდ ერთი!

და ეს დემოკრატიულ ქვეყანაში, სადაც მიესალმებიან განსხვავებულ აზრებს.

### ტრუ სენსაცი

— დიდი ხმაური გამოიწვია ამას წინათ ტელევიზიით ნაჩვენებმა ფილმმა რუევის ბრძოლაზე. დავა დღემდე გრძელდება...

— როცა ამ ფილმს ვუყურებდი, ძალიან აღვშფოთდი. აი, მიწყვია საბჭოთა პერიოდის ენციკლოპედიები. სამხედრო-ისტორიული, ისტორიული. ისინი გამოდიოდა 60-70-იან წლებში. ყოველ ენციკლოპედიაში არის სტატია რუევის ოპერაციების შესახებ. თანაც, — სამივეზე. იქ ყველაფერი დაწვრილდა ალერგირი: ფილმში არაფერი აღმოუჩენიათ, ჩვენთვის უცნობი ბრძოლა არ ყოფილა... ვითომ საბჭოთა ხელისუფლების დროს ამ ბრძოლაზე არ ლაპარაკობდნენ, მას გვერდს უვლიდნენ. ეს სიცრუეა! წიგნები რუევის ბრძოლაზე საბჭოთა ხელისუფლების დროს იყო. და მთავარი, რაც ფილმს არ უთქვამს, — ესაა ხალხი, რომელიც იბრძოდა რუევის, თავისკენ იზიდავდა ვერძებს ჯარებს, არ აძლევდა მათ სტალინგრადისაკენ გაჭრის საშუალებას. აი, რა იყო რუევის დამსახურება. მაგრამ ამის შესახებ კრინტიც არ დაუძრავთ! რატომ? მთავარია, აჩვენო, რომ უგუნურად აგზავნიდნენ ხალხს დასახოცად...

— კიდევ ერთი მესტად საჩირო სახელმწიფო ისტორიული თემა — კატინის ტრაგედია. როდის დავამთავრებთ ამ ისტორიას?

— კატინის ისტორიას დავამთავრებთ, როდესაც პოლონელები პასუხს აგებენ ჩვენი იმ ტყვეების განადგურების გამო, რომლებიც აიყვანეს 20 წელს. დაახლოებით 10 ათასი კაცი იყო. არქივებში ვერც ერთი დოკუმენტი ვერ აღმოვაჩინე, სადაც პირდაპირ იქნებოდა მითითებული, რომ დახოცეს ან გაანადგურეს ეს პოლონელები. და პოლონელთა არც ერთ დამცველს კატინის საქმეში არ შეუძლია წარმოადგინოს ასეთი დოკუმენტი.

— რაიმე გონივრულ გამოსავალს თუ ხედავთ კატინის ჩიხიდან?

— მხოლოდ ერთს: პოლონელებმაც და ჩვენც უნდა შევწყვიტოთ ამ თემის სპეკულირება. გავხსნათ 1920 წლის დოკუმენტები — პოლონურიც და ჩვენიც. და ორივე მხარის ისტორიკოსებმა ერთობლივად და შევიდად გავიკვიროთ ვითარება. მერე კი გამოიტარებინოთ ხელში. გამოქვეყნდეს მათი აზრი, რომ ყველამ იცოდეს, რას ფიქრობენ ისინი ტექ-

არნო ხიდრბეგიშვილი:

# პრაქორუმიპირებულ პროფესიონალთა დიქტატურა...

გასულ კვირას ამერიკაში ტრადიციულად აღნიშნეს ამერიკის შეერთებული შტატების ახალი პრეზიდენტის მიერ თანამდებობის დაკავების 100 დღე. დიას, თეთრი სახლის ახალი მუშაკონსტიტუციონალიზაციის ნამდვილად წააგავს იმ ჭეშმარიტი დემოკრატიული ფასეულობების მიმდევარს, რომლისთვისაც ლინკოლნი, რუზველტი, კენედი იბრძოდნენ. უფრო მეტიც: სრულებით დარწმუნებული ვარ, რომ მასაც უნევს შიდა სახელისუფლებო ბრძოლა რადიკალურად „შეგარდნებთან“, და სხვა პოლიტიკურ უწინდურებთან. ასევე გამორიცხული არ არის, რომ შეერთებული შტატებისა და რუსეთის ურთიერთობების „გადატირთვამი“ პრეზიდენტობამას ხელს უშლიან ძველი პოლიტიკური მონიშნალები, მათ შორის, მაკინეები & მეთიუბრაიზები, რომლებიც ჯერ კიდევ კურირებენ საქართველოს...

როგორია საქართველოს ხელისუფლების ურთიერთობა ვაშინგტონის ახალ ადმინისტრაციასთან? ვფიქრობ, რომ ზემოთ ჩამოთვლილ „საქართველოს ძველ მეგობრებთან“ კონტაქტის გარდა, ახალ სამთავრობო კაბინეტთან ჩვენმა ხელისუფლებამ საერთო ენა ვერ გამოიხატა...

და, საერთოდ, ძვირფასო მეტიუბრაიზებო, ხომ არ ამსგავსებთ ბოლო 20 წლის განმავლობაში საქართველოს ხელისუფლების პოლიტიკას საბუღალურულ (და არა მხოლოდ ჩვენში) ყავის ნალექზე მარჩიელობას?! მათი „დიდი წყალობით“ საქართველო დაოხილია „დაქნაობადა ევროპასა და ამერიკაში“ იმ იმედით, რომ „ოკეანისგალმა კავალერთა“ შორის თავის „საბედოს“ აღმოაჩენდა, ნაცვლად „ბედისწერიის ნანინასწარმეტყველები“ რუსეთისა...

დაე, მაპატიოს ქართველმა ხალხმა ეს მეტაფორა, მაგრამ ეს მის მიერ არჩეულმა, თანაც — არაერთხელ, ხელისუფლებამ დაამსგავსა საქართველო გასათხოვარ ქალიშვილს, ყავის ნალექზე რომ მიეთხოვებო! საქართველო, რომლის 12 გენერალი და 40 ოფიცერი რუსების გვერდგვერდ იბრძოდა 1812 წლის სამამულო ომში და ყველას აოცებდა თავისი, ისტორიაში შესული ჰეროიზმით...

სამწუხაროდ, „ახალი რჩეულის“ სიყვარული წარმავალი აღმოჩნდა: 5-წლიანი „საქორწინო მოგზაურობის“ შემდეგ „საქმროს მშობლიურ სახლში“ (ნატოში) არ მიგვიღეს, რადგან „დედამთილმა“ (ძველმა ევროპამ) ქარაფშუტად მიგვიჩინა!... თანაც, „ერთადერთი და განუყოფელი“ „ტრანსსექსუალი“ აღმოჩნდა: 2008 წლის აგვისტოში მხოლოდ პაპიერსებით, საარეცხი ფხვნილებითა და ტუალეტის ქაღალდით დაგვეხმარა, ესეც — პოსტფაქტუმ. და ეს იმ საქართველოს, რომლის 700 ათასი ძე და ასული დიდი სამამულო ომის ფრონტებზე იბრძოდნენ. მათგან 350 ათასი ბრძოლის ველზე დაეცა, ხოლო 167 მეომარს საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიენიჭა...

სწორედ ამის და კიდევ მრავალი სხვა რამის ცოდნა, დასაძულთელ ექსპერტთა და პოლიტოლოგთა აზრით, რუს და ქართველ ახალგაზრდობას არ ეგეობის, თანაც, და არა მხოლოდ დასავლეთელთა: საკმა-

რისია, გავიხსენოთ „ფელდეგერი“ ფელგენგაურის და ლატინინას „ლატინინა“. და ეს — რუსეთში, სადაც თითქოსდა არ არსებობს სიტყვის თავისუფლება, სუფევს ტოტალური სახელმწიფო ცენზურა მედიაზე და ჟურნალისტების საყოველთაო პრესინგი! ხოლო საქართველოში უკვე წელიწადია, დაბლოკილია რუსული საინფორმაციო ტელეარხები — როგორც 1941-1945 წლების ომისას, როცა ოკუპირებულ ტერიტორიებზე „სოფინფორმბიუროს“ ინფორმაციებს ახშობდნენ...

„ჩვენი საერთო ისტორიული მემკვიდრეობა, კეთილმეზობლობისა და მეგობრობის ტრადიციები მკვიდრი საძირკველია ჩვენს ხალხებს შორის ნდობისა და ურთიერთგაგების აღსადგენად. ხალხებისა, რომლებიც არასდროს მტრები არ ყოფილან. და მიუხედავად იმისა, რომ რუსეთისა და საქართველოს სახელმწიფოებრივი ურთიერთობანი დღეს სერიოზულ გამოცდას გადის, დღემდე არ წყდება პირდაპირი ადამიანური კონტაქტები და თანამშრომლობა საზოგადოებრივი და კულტურული ორგანიზაციებისა, არ შესუსტებულა რუსეთისა და საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიების კავშირები. ეს ყველაფერი გვაიმედებს, რომ ორი სულიერად მონათესავე ხალხის ურთიერთობა დაგვეხმარება, ერთობლივად განვაავითაროთ ურთიერთხელსაყრელი და პარტნიორული ურთიერთობები“, — 2009 წლის 9 მაისის ასე მოულოცა რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტმა დიმიტრი მედვედევმა დიდი სამამულო ომის ვეტერანებსა და საქართველოს მოქალაქეებს დიადი გამარჯვების 64-ე წლისთავი.

განა ეს მტრის ხმაა, რომელიც უნდა ჩაახშო და დაბლოკო? და, ამასთან, განაცხადო, რომ საქართველოს ხელისუფლება მზადაა რუსეთთან კეთილი სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობების აღსადგენად?! განა საქართველოში პირველმა არ უნდა გადადგას რუსეთისკენ ნაბიჯი, იმიტომ, რომ იქ მილიონზე მეტი ქართველი ცხოვრობს და კიდევ იმიტომ, რომ სწორედ მან, საქართველომ, უნდა აღადგინოს ტერიტორიული მთლიანობა და სუვერენიტეტი? მაგრამ რუსეთსაც, მიუხედავად საგარეო საქმეთა მი-

ნისტრის ლავროვის განცხადებებისა, არ აქვს უფლება, გულხელი დაიკრიფოს: საქართველოს შიდა საქმეებში ჩაურევლობა არ გამოირიცხავს ობიექტური საინფორმაციო-განმარტებითი კამპანიის წარმოებას მედიათა და რუსეთის პრეზიდენტის მიერ ნახსენები, ზემოთმოყვანილი საზოგადოებრივი, კულტურული ორგანიზაციებისა და ეკლესიის მეშვეობით.

მაინც, რა საკითხები უნდა განემარტოს ქართველ საზოგადოებას, რომელსაც თავგზა აუბნიეს ყველა ჯურის ლიბერალებმა, ფარისევლებმა, თვალთმაქცებმა? ანუ შეკვეთი მომუშავე პოლიტიკოსებმა, პოლიტოლოგებმა და ჟურნალისტებმა?!

პირველი საკითხი ელემენტარული და ყველაზე არსებითია ჩვენი მოსახლეობის უმრავლესი ნაწილისთვის: თუ საქართველო შეიცვლის შიდაპოლიტიკურ კურსს და რუსეთთან აქტიურ დიალოგს დაიწყებს ორმხრივი ინტერესების გათვალისწინებით, ხომ არ გაუწაყენდებოდა ანუ და ევროპა და შეუწყვეტენ საერთაშორისო ფინანსურ დახმარებას? ხომ არ შეწყდება ყველა პროგრამა და პროექტი, რომლებსაც საერთაშორისო საგაულტურო ფონდი, განვითარების საერთაშორისო ფონდი, ევროპის ბანკები და აშშ მთავრობა აფინანსებენ? მოახდენს ამის კომპენსაციას რუსეთის ფედერაცია ალტერნატიული ხანგრძლივადიანი დაბალპროცენტინანი ან უპროცენტო კრედიტებით ეკონომიკაში, მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში, ადგილობრივი სოფლის მეურნეობის პროდუქციის, ღვინის, მინერალური წყლებისა და რუსეთ-საქართველოს ერთობლივი ბიზნესის ნახალისებით? უფრო მარტივად და მოკლედ რომ ვთქვათ, რით ვიცხოვრებთ დანგრეული ეკონომიკისა და უმუშევრობის პირობებში?

ამაზე რუსეთის პრეზიდენტი ზემოთმოყვანილ მიმართვაში ასე პასუხობს: „ორი სულიერად მონათესავე ხალხის ურთიერთობა და დიქტატურა საერთოობლივად განვაავითაროთ ურთიერთხელსაყრელი და პარტნიორული ურთიერთობები“. თუმცა, ეს აშკარად საკამარისი არ არის:



თბილისში, რუსთაველის გამზირზე ხომ ერთმანეთს უპირისპირდებიან არა პოლიტიკური ოპოზიცია და საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი, არამედ საგარეო-პოლიტიკური განვითარების ორი ვექტორი, ორი იდეოლოგია, რომლებსაც ქართულ სახელმწიფოს სთავაზობენ — გლობალიზტური და ნაციონალური. ჩვენ არა ერთხელ „დავინვით ხელი“ ამ არჩევანში, ამიტომაც არ გვაქვს უფლება, კვლავ ვიმარჩიელოთ ყავის ნალექზე და ისევ შევცდეთ: ქართველ ხალხს უნდა სწამდეს სვალინდელი დღის, დარწმუნებული უნდა იყოს, რომ სამუშაო ადგილებიც ექნება და სოციალურწინააღმდეგობაც — მანამდე ის ნაჩუქარ რუბლს შრომით მოპოვებულ კაპიტს ამჯობინებს და სწორ არჩევანს გააკეთებს! მეორე საკითხი, რომელზე პასუხის ცოდნაც სურს ყველა ჭეშმარიტ ქართველს — როდის დაუბრუნდება საქართველოს შიდაპოლიტიკური წიაღ აფხაზეთი და ე.წ. სამხრეთ ოსეთი, სად დაბრუნდებიან ლტოლვილები და რა უნდა გაკეთდეს ამისათვის?

ამის პასუხი წინა კითხვიდან გამომდინარეობს და სავსებით თანამედროვეა მისი: სახელმწიფოს საგარეო-პოლიტიკური ვექტორის შეცვლა, უარის თქმა ჩრდილოატლანტიკური ალიანსის წევრობაზე, ფხაზეთისა და ოსეთისთვის საქართველოს ეკონომიკური მიზიდველობა — აი, ის მექანიზმები, რომელთა მეშვეობითაც საქართველომ და შესაძლებელი ამ პრობლემის გადაჭრა. ოღონდ პრობლემა უნდა გადაჭრან ხელისუფლებამ მისულმა ახალმა ადამიანებმა — არაკორუმპირებულმა პროფესიონალებმა, რომლებსაც მთელი გულით უყვართ საქართველოცა და აფხაზეთიც, ოსებიც, უყვართ და იცნობენ რუსეთს — მის ისტორიას, ხალხს, ენას, კულტურას! დარწმუნებული ვარ, რომ არაკორუმპირებულ პროფესიონალთა დიქტატურა საქართველოსთვის ამ საბედისწერო პერიოდში აუცილებელ სიკეთედ იქცევა და არა — ბოროტებად! მესამე საკითხიც უშუა-

ლოდ უკავშირდება როგორც ნინა ორს, ისე რუსეთის პრეზიდენტის ზემოთმოყვანილ მიმართვას, სადაც ასეთი აქცენტია: „ჩვენი საერთო ისტორიული მემკვიდრეობა, კეთილმეზობლობისა და მეგობრობის ტრადიციები მკვიდრი საძირკველია ჩვენს ხალხებს შორის ნდობისა და ურთიერთგაგების აღსადგენად. ხალხებისა, რომლებიც არასდროს მტრები არ ყოფილან“.

დაიხაც, სწორედ მკვიდრი საძირკველზე უნდა აიგოს ნდობისა და ურთიერთგაგების შენობა და არა — ზედასართულების მიმენებიდან, რის გაკეთებასაც ახლა ლაბობენ „შერეული“ საზოგადოებრივი მოღვაწენი „საბრძოლო“ სახელებით, ანდა „თეთრი“ ინტელიგენტები „დახურულ“ კლუბებში. ვგარაუდობ, რომ „ბნელ ღამეებში“ კიდევ შეიქმნება მსგავსი „ანსამბლები“ — როგორც სახაზინო, ისე პირადი ყველა ჭეშმარიტ ქართველს — როდის დაუბრუნდება საქართველოს შიდაპოლიტიკური წიაღ აფხაზეთი და ე.წ. სამხრეთ ოსეთი, სად დაბრუნდებიან ლტოლვილები და რა უნდა გაკეთდეს ამისათვის?

საბედნიეროდ, არსებობს გამოწვევისი, მაგალითად, თბილისში ახლახან შექმნილი არასამთავრობო ორგანიზაცია „ისტორიული მემკვიდრეობა“. მან მოკლევანში გამოსცა უკვე ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად ქცეული პირველი ხუთი ნიგანი კრებულების სერიიდან, რომლებიც შედგენილია ისტორიულ დოკუმენტებზე დაყრდნობით და მოწმობს რუსეთ-საქართველოს უძვე-

ლეს ისტორიულ, საგანმანათლებლო, კულტურულ და რელიგიურ კავშირებს.

ახლახან რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტმა დიმიტრი მედვედევმა ამ ორგანიზაციის წევრებს თბილისში ორგანიზაციის პრეზენტაცია მიულოცა, ხოლო 28 აპრილს რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტმა საგანგებოდ მიუძღვნა ამ ინიციატივას მრავალი მაგიდა თემაზე: „რუსეთისა და საქართველოს სამეცნიერო საზოგადოების წარმომადგენლები ორი ხალხის საერთო ბედის შესახებ“, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს რუსეთისა და საქართველოს სამეცნიერო ინტელიგენციის წარმომადგენლებმა. განსაკუთრებით მინდა, მოვიხსენიო გლობალიზაციის პრობლემების შემსწავლელი ცენტრის ხელმძღვანელი, საქართველოს ნაციონალური და სოციალური ურთიერთობების აკადემიის პრეზიდენტი, რუსეთის სოციალურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, პოლიტიკური მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ალექსანდრე ჭაჭია — ადამიანი, რომელმაც ფასდაუდებელი (ამ სიტყვის თქმის არ შემეშინდება!) წვლილი შეიტანა როგორც ამ ინიციატივაში, ისე რუსი და ქართველი ხალხების, რუსეთისა და საქართველოს მეგობრობის საქმეში.

აღსანიშნავია „რუსეთში ქართველთა კავშირის“ მოღვაწეობა, რომელიც ხელს უწყობს ქართული კულტურის პოპულარიზაციას, აწყობს ქართული ხელოვნებისა და მეცნიერების თვალსაჩინო წარმომადგენლების გამოსვლების მთელ სერიებს, აქტიურ მუშაობას ეწევა რუსეთ-საქართველოს ისტორიის სამახსოვრო ძეგლთა მოძიების, რესტავრაციისათვის და უკვდავსაყოფად როგორც მოსკოვში, ასევე რუსეთის რეგიონებში.

P.S. საქართველომ პირნათლად შეასრულა ამერიკის წინაშე თავისი პარტნიორული ვალდებულებები ერაყში და კვლავაც მზადაა მასთან მეგობრობისათვის, ოღონდ — არა რუსეთთან ტრადიციულად კეთილმეზობლური ურთიერთობის საზიანოდ. მინდა, მჯეროდეს, რომ ღრმა ძილისგან თანდათანობით გამოფხიზლებული ქართველი ხალხი ამჯერად მაინც, სანამ გაჭრიდეს, ასჯერ გაზომავს და რომ პრეზიდენტი ობამა, თავისი წინამორბედისგან განსხვავებით (რომლის სახელიც თბილისის ერთ-ერთ ქუჩას უწოდეს და დღემდე სახელი არ გადაურქმევიათ), ნესიერი კაცია...

# რა სარგებლობა მოაქვს დიალოგს?!

11 მაისს ოპოზიციასა და მიხეილ სააკაშვილს შორის შინაგან საქმეთა სამინისტროში გამართული შეხვედრის შედეგების თაობაზე „საქართველო და მსოფლიო“ ე.წ. რადიკალური ოპოზიციის ლიდერებს ესაუბრა.



**ლევან ბაჩიანი:** — მიხეილ სააკაშვილთან შეხვედრის შედეგი არის ის, რომ მან გახარებულმა, თვალგაბრწყინებულმა მიგვიღო, მაგრამ არაფრით შეისმინა, რომ ქვეყანაში მძიმე პოლიტიკური კრიზისია. ეს კაცი შეურაცხადია და მასთან არც ერთ საკითხზე სერიოზულად ლაპარაკი არ შეიძლება. სიმართლე გითხრა, არც მქონია იმის მოლოდინი, რომ ეს შეხვედრა რამე პოზიტიურ შედეგს მოიტანდა... უბრალოდ, სააკაშვილს არსენალიდან ერთხელ და სამუდამოდ უნდა ამოვაციოთ ის ბერკეტი, რასაც დიალოგი ჰქვია...

ზოგადად ის ფაქტი, რომ ჩვენსა და ხელისუფლებას შორის რაღაც კონტაქტი შედგა, თავისთავად რაღაცაა ნიშნავს, მაგრამ, შედეგად რაღაცაა ნიშნავს, დღეიდან კიდევ ათასჯერ რომ შეხვედრის სააკაშვილს, მსგავსი მოლაპარაკებები ვერაფერს შეცვლის...

**P.S. სააკაშვილთან შეხვედრის მეორე დღეს რადიკალურად შერაცხილმა ოპოზიციამ ნინო ბურჯანაძის პარტიის ოფისში საგანგებო შეკრება გამართა. თათბირი დახურულ კარს მიღმა ჩატარდა და თითქმის ოთხ საათს გაგრძელდა; მისი დასრულების შემდეგ პროტესტანტი ლიდერები მედიასთან მოკლე კომენტარებით შემოიფარგლნენ, თუმცა ოთხსაათიანი სჯა-ბაასის კვლობაზე ახალი და საინტერესო არაფერი უთქვამთ. მეტიც, ჯერ კიდევ შეხვედრის დასრულებამდე „ანზოროვნას“ კანტორიდან ხმამ გამოჟონა, რომ ლიდერებს შორის ვარკვეულმა უთანხმოებამ იფეთქა, მიზეზი კი ისაა, რომ სააკაშვილმა გუშინ მათ რიგგარეშე ადგილობრივი არჩევნების ჩატარება შესთავაზა და ზოგიერთი ოპოზიციონერი (განსაკუთრებით, ალასანიას ალიანსი) ამ ცდუნებას ვერ უძლებს...**

თავად ოპოზიციონერებმა, ბუნებრივია, არ ისურვეს ამაზე საუბარი, მაგრამ ის ფაქტი, რომ შეხვედრას არ ესწრებოდა ირაკლი ალასანიას, კონსტანტინე გამსახურდია და კიდევ რამდენიმე ფიგურა, მრავლისმეტყველია...

**სალომე ზურაბიშვილი:** — გუშინდელი შეხვედრის შემდეგ ხელისუფლებას ჰყოფნის თავზედობა, რომ დიალოგი კიდევ შემოგვთავაზოს, თან ამ დროს ხაზგასმით იხაზიან, რომ ქვეყანაში პოლიტიკური კრიზისი არ არის... მე ვერ გამოვიგია, თუ კრიზისი არ არის და ყველაფერი ნესრიგშია, მაშინ რა საჭიროა მოლაპარაკებები?! ნუთუ მხოლოდ იმისთვის, რომ სააკაშვილმა დაბეჯითებით გვარწმუნოს თავისი პოზიციის ადეკვატურობაში?!

...რაც შეეხება გუშინდელ ოპოზიციასა და ხელისუფლებას შორის შემდგარ შეხვედრას, როგორც ვიცით, დიალოგი არ იძლევა ხორცს, არ იძლევა კვერცხს, ბუნდლას... ამდენად, საკითხავია, რაში სჭირდებოდა ოპოზიციას ასეთი უსარგებლო და არაფრის მომცემი დიალოგი, რომელიც მხოლოდ ჩინჩლასს?!.

**ჯაბა შვანია**

# ალო, ალოოო!!!

ახლა, მაინცდამაინც დრო თუ გაინტერესებთ, მაგაზეც გიპასუხებთ. იქნებოდა, ასე, საღამოს 20-25 წუთი, ჩემს ბინაში ტელეფონმა რომ იძვრიალა. ცოლისდა რეკავდა საბერძნეთიდან (იქ მუშაობს, ბერძენ რაჭველს უვლის). ყურმილი ჩემმა სიდედრმა აიღო. მეორე ოთახში გავვარდი, პარალელური აპარატის ყურმილი ავიკარი ყურზე (ბოლო-ბოლო, მოსმენების ეპოქაა ახლა).

ნობი როა, ხო იცნობ? — კი, გია. — ხო, გიაა, მარა მართლა უცნობია. წამოდით, ხალხო, გამოვიხსნათ ჩვენი დაჩაგრული ბიჭები ციხიდანო.

უკუნებიზა, რომო, იგო, თქვენი, ახლაო, მიიღეთ თავდაცვითი პოზიციაო, თუ ვინმემ რამე გაბედა, დაახალეთ პირდაპირ... შუბლშიო.

— რა ხდება, დედიკო, მანდ, საქართველოში (დაინტერესდა ბერძნული მხარე)? — რა ხდება და ჯანდაბა ხდება! დიეტეე მაქანე, არ გადმოადგა ფეხი, თვარა გავშეხე ქაუდიდან (გურულია).

ადგენ ეს მომიტინგეები (5000 კაცამდე) და ერთს არ უკითხავს, — როგორ, რა გზითო. გაჰყვინდეს გიას დიდი მისკენ, ფეხს გავმართავთ, თვალს წყალს დავაღვივებთ, მოგვკლა ერთ ადგილზე დგომამო.

— კაი, გოგო, რა დროს ეგაა, წვიდა ხუტა უფროსის დრო. კაი კაცი იყო ცხონებულნი ფურია, კაი... — სულ აურიე, დედიკო, ახლა შენ ყველაფერი.

— ხომ ხართ კარგად? — კარგად რაფრა ვიქნებით, დედა! რაცხა რევოლუციას აპირებენ და არ დაადგათყენ საშველი. მიტინგობანაა გახურებული. მაგი კარა, გუშინ ჯარის ყაზილარები ამბოხდნენ მუხროვანში. მუხროვანი სადაა? სადაა და მუხები როა, იქ... დუუუქიენ ტანკები და თელი თბილისის ადებს ნაპირებიენ, სუყველა უნდა ამოვფუფოთო.

— ვაიმე, რა საინტერესოაა! მერე, მერე დედიკო? — რაღა მერე... როგორც კი გუუგათა პოლიციის სამმართველოში, ჩვენსკენ მოდის ამხელა მასაო, დუურტყამთ აბლაგა პოლიციის ეზოში და ცვლაში რომ არ იყვნენ და ისე ვინცებდენ, იმ პოლიციელებისთვისაღ დუურეკავთ, სასწრაფოთ გამოდით, მიტინგი მოდისო. სულ პარტყაპურტყით გამოვარდნილან სახლებიდან პოლიციელები, ისეთი ოპერატიულობით, რომ შარვლებს ტაქსში იცვამდნენ, თურმე...

— თავისუფლება იმ ბიჭებს, რომლებსაც ცემის გარდა კიდო რაცხას უპირებენო! — მერე პოლიციამ, რაო? — პიტნაში ახლილი „სანტეს“ ყველი ხვარ გინდათ კიდო დამატებითო?

— არ გადამრიო, დედიკო, ამ შვა საბერძნეთში, მერე? — გუუგია ჩვენ პრეზიდენტს და უთქვამს, მე პირადად მივალ და ჩავაქრობიბ დაქოქილ ტანკებს მაგ მამაძაღლებსო. ახლა იმგნებს რო გუუგათ, პრეზიდენტი მოდისო, მამინათვე უკითხავთ — ვალსტუკი თუ უკითხაო? აქიდან უთქვამთ — კიო. აპა, წასულია ჩვენი საქმე, რაც მაგან აგვისტოში რუსებს დდე აყარა, ჩვენ რაღას გინზამსო და ჩუუქერიათ ტანკები, აბა!

— აბა, რა საინტერესოაა! მერე, მერე დედიკო? — რაღა მერე... როგორც კი გუუგათა პოლიციის სამმართველოში, ჩვენსკენ მოდის ამხელა მასაო, დუურტყამთ აბლაგა პოლიციის ეზოში და ცვლაში რომ არ იყვნენ და ისე ვინცებდენ, იმ პოლიციელებისთვისაღ დუურეკავთ, სასწრაფოთ გამოდით, მიტინგი მოდისო. სულ პარტყაპურტყით გამოვარდნილან სახლებიდან პოლიციელები, ისეთი ოპერატიულობით, რომ შარვლებს ტაქსში იცვამდნენ, თურმე...

— თავისუფლება იმ ბიჭებს, რომლებსაც ცემის გარდა კიდო რაცხას უპირებენო! — მერე პოლიციამ, რაო? — პიტნაში ახლილი „სანტეს“ ყველი ხვარ გინდათ კიდო დამატებითო?

— დედაა... კარგად გადარჩენილხართ. — გადავრჩენილვართ კი არა, მერე მოხთა, რაც მოხთა: მომიტინგეებმა საკნები გახსნეს და დადგეს, სულ ნეზაყოფლობით ჯდებან მო-

— ხო, კაი, ნუ ბრაზობ. — რას, რას უპირებდნენ, დედიკო? ვერ გავიგე. — სანამ შენ ქმარს გვეყრებოდი, — იმას! თუმცა, ეს რომ მომიტინგეებს შუუტყავთ, სულ გადარეულან. გამოსულა საკნიდან ნეზაყოფლობითი ტუსალი, ნაცნობი უც-

— თუ არ გაინტერესებდა, რას მიერეკავდი! ნერს და ნერსო, გადვიხთი ფულს, ტყუილა აგდინხარ მაგტელა ათენში? — ხო, კაი, ნუ ბრაზობ. — რას ქვია, ნუ ვბრაზობ, დამაუტეს ნერვები... ხო-დაააა, იმას ვჩიოდე, ნენა, ღმერთო გამახსენე... ხო... მთავარ პოლიცემისტერს უთქვამს პანა-პანა პოლიცი-

— მაცალე ელანძე, თუ ქალი ხარ, ტიტე! — ხოო-დააა, წვიდენ მოლაპარაკებაზე გუზაზი, სანიკიძე... სანიკიძე იგია, მსხვილი როა, თინა ქე იცი, ჭკვიან თავში, სიტყვების პულიმიოტრი რო აქ, გუნცაძე და ვიტორ დოლოძე (ოპერის და ოპერეტების დროა ახლა?!).

— შედეგი, შედეგი, შედეგი მითხარი! — იმგნებმა უთხრენ: „ძიალოგი“ თუ გინდათ, ჩვენც ქე გვინდა, მარა რაზე ვილაპარაკოთ, რო არ ვიცითო? — მიმა უნდა გადადგესო, — გუზაზი. უნდა გადავყენოთო.

— თუ ვინმემ რამე გაბედა, დაახალეთ პირდაპირ... შუბლშიო.

— რაღა დროს მაგის გადაყენებაა, უკვე დიდიაო, — იმათმა. — მამო, თუ ასე დიდია, თავისით, — გუზაზმა.

— თუ ვინმემ რამე გაბედა, დაახალეთ პირდაპირ... შუბლშიო.

— არა, შეხვედრას მოგინცობთ, — ბაქრაძემ, — ოლონდ წინასწარ გვითხარით, რა კითხვებს დოუსევამთ, განვიხილავთ, დავარჩევთ და ისეთე გიპასუხებთო მიშკოო.

— თუ ვინმემ რამე გაბედა, დაახალეთ პირდაპირ... შუბლშიო.

— მასთე ყველი ხაჭაპურშიო, — ზვიად ძიძიგურის ტერმინი გამოუყენებია გუზაზის... — თუ ბიჭია, თვითონ გველაპარაკოსო.

— თუ ვინმემ რამე გაბედა, დაახალეთ პირდაპირ... შუბლშიო.

— თვითონ რას დაგელაპარაკებთ, კაცი სულ საზღვარგარეთაა, ინვენსტიციები მოაქვს, სამი სტადიონი აქვს ასაშენებელი დამპალალოში (მასაჟისტი არც ერთ მხარეს არ უხსენებია, შეგნებულად).

— თუ ვინმემ რამე გაბედა, დაახალეთ პირდაპირ... შუბლშიო.

— აბა ისე ჩვენ არ გვინდაო, — და წამოსულან. — მობრუნდით, მობრუნდით, კიდევ გავმართოთ მერე რაუნდო, — დოუნეგია გუზაზი ბაქრაძეს.

— თუ ვინმემ რამე გაბედა, დაახალეთ პირდაპირ... შუბლშიო.

— რაუნდი მე რინგზე ვიციო, — გუზაზის უთქვამს. დედა, დედაა, არ ვიცი, რა მოხთება. იყავი მაქანე, ფეხი არ გადმოდგა აქეთ, ერთი მაინც დამრჩე ცოცხალი, როცა გათხრა „ი“, მაშინ წამოდი... ვიტყვი ვითამე? ...ტუუ...ტუუ...ტუუ... **მურაან პერკვილიშვილი**

რედაქციის ელექტრონული ფოსტის მისამართზე მოვიდა ემიგრაციაში მყოფი ჩვენი თანამემამულის ბიორგი მანისურაძის დეტექტივი. ნაწარმოების გაცნობამ მიგვახვედრა, რომ საქმე გვაქვს პროფესიონალ მწერალთან, რომელიც ფსევდონიმს ამოფარა. იმედია, დეტექტივის გამოკვლევების დასრულებამდე რედაქცია და გაზეთის მკითხველიც შეიტყობთ ავტორის ნამდვილ ვინაობას. მკითხველი ნაწარმოებში ბევრ მსგავსებას იპოვის საქართველოში მომხდარ მოვლენებთან, შესაძლოა, კონკრეტული პირებიც ამოიცნოს. თუმცა, ავტორი მიგვანიშნებს, რომ ყველა შესაძლო პარალელი მხოლოდ დამთხვევაა.

**ბიორგი მანისურაძე**

**სალაში**

**საქართველოში მომხდარ მოვლენებს!**

**გაგრძელება. დასაწყისი იხ. №11**

„ბონგ 747“ ორ განზომილებაში მიიკვლევდა გზას: ზემოთ უღრუბლო ცა და ქვემოთ ატლანტიკის ოკეანის ლურჯი სიმშვიდე. იდუმალ სიღრმეში...

სიღრმი როჯერსმა კომპიუტერში მომდევნო ფაილი გახსნა და ბიზნესკლასის სალონში თითქოს ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს სპეციალური უოლტერ რაილი შემოვიდა და მოპირდაპირე სავარძელში ჩაეშვა.

„უოლტერ რაილი, 13.01.1956. კენტუკი. სპეციალური აგენტი. მიმართულება - ნარკობიზნესი, ტერორიზმი.“

სპეციალური დავალებები: ჰონდურასი, გვატემალა, კოლუმბია, ლიბანი, ერაყი, ავღანეთი, საქართველო“.

სტამბოლში სიღრმი როჯერსს თურქეთის ავიაციაზე ბის კუთვნილ „ბონგ 737“-ში გადაჯდომამ მოუხდა. საქართველოში დიდი ლაინერები არ დაფრინავდნენ და გარდა ამისა, ყველა რეისი ნაშუალამევს იყო. ასე რომ, სამი საათი მოუწია სტამბოლის აეროპორტის სატრანზიტო ტერმინალში მოცდამ და ამ გარემოებაში ისლამ ამშვიდებდა, რომ საქართველოს დედაქალაქამდე სულ ორსაათნახევრის საფრენი იყო დარჩენილი.

რას იზამ, დღისთი ფრენა მდიდრული ქვეყნების პრესტიჟურ პროგნოზი, - გაიფიქრა როჯერსმა და იმავე წამს გადაწყვიტა, რომ ამ უბრალო ჩემპიონატის დამადასტურებელი ფრაზას აუცილებლად გამოიყენებდა რომელიმე კორესპონდენტთან.

სიღრმი როჯერსს ჭირის დღესავით ეზარებოდა თვითმფრინავით ღამით მგზავრობა. რალაცნაირი გრძნობა უფლებობდა, ვერ ისვენებდა, კითხვას გულს ვერ უდებდა, ფილმებს ხომ საერთოდ ვერ უყურებდა. როგორც წესი, თვითმფრინავებში ამერიკული ფილმებს აჩვენებდნენ და როგორ, რანაირად განვითარდებოდა სიუჟეტი ეკრანზე, მისთვის სენსის დაწყებამდე რამდენიმე წუთში ნათელი იყო. იმ ფილმებს კი, რომლებიც სიღრმი როჯერსს მოსწონდა, გასული საუკუნის 50-60-იანი წლების ფილმებს, იმ პერიოდისას, როცა მისი სამშობლო - ამერიკის შეერთებული შტატები მართლაც პირველი იყო ყველაფერში, ავიალაინერებში არასდროს აჩვენებდნენ...

როგორც იქნა, ნაშუალამევს ევროპული დროით, ორის ნახევარზე, თურქული ავიაციაზე ბონგ 737“ თვლებს ბრავაბრუვით მოსწყდა ასაფრენი ბილიკის ბეტონს და ნითელ-მწვანე სასიგნალო ნათების პულსირებით გეზი თბილისისკენ აიღო. კომერციულ სალონში ნემსს ვერ ჩაატყვდა

კაცი, ბიზნესკლასში კი სიღრმი როჯერსის გარდა სამიოდე მგზავრს მოეყარა თავი.

„ნიუ-იორკ თაიმსის“ კორესპონდენტმა კომპიუტერი ჩართო და მასში მოთავსებული ინფორმაციის უსასრულო ლაბირინთიდან სპეციალური აგენტის უოლტერ რაილის ქართული თანამშრომლები გამოიხმო. სამნი იყვნენ: მაიორი მირიან სავანელი, კაპიტნები - ალბერტ მისაშვილი და მერაბ შაბურია.

სიღრმი როჯერსს, ჩვეულებრივად, ხელბარგი ჰქონდა მხოლოდ და პირდაპირ გასასვლელისკენ წავიდა. შორიდანვე დაინახა ჯოხზე დამაგრებული ტრაფარეტი ნარწურით: „მისტერ როჯერს, აქ ვართ!“ ახალგაზრდა კაცი გახლდათ, მალა-მალა, ნავარჯიშევი სხეულით, მოკლედ შეკრეჭილი ქერა თმით, ცისფერი თვალებით, ირლანდიური ყვრილობით და ამერიკული საფრთხე კვადრატული ყბა-ნიკაბით. თხელი, ღია ცისფერი ჯინები ეცვა და გადმოშვებული, თეთრი, მოკლესახელოებიანი პურანგი, რაც უდავოდ იმის დასტური იყო, რომ საქართველოს დედაქალაქში (ცხელი დღე თენდებოდა) როჯერსმა შორიდანვე აუწია ხელი იდენტიფიცირებისა და მისალმების ნიშნად. თანამემამულემ გაუღიმა, ჯოხზე დამაგრებული ფირნიმ-ტრაფარეტი მოხსნა, დაჭმუჭნა და იქვე სანაგვე ყუთში ჩააგდო. მოკლედ, ეტყობა, მრავალჯერად გამოყენებისთვის განკუთვნილი ჯოხი ილიაში ამოიჩარა და დამხედურების ბარიერთან მივიდა.

გამარჯობათ, მისტერ როჯერს, ელჩის თანამემამულე ჯონ ობრაიენი! - ნარუდგა დამხედური, - როგორ ხართ, მისტერ როჯერს, როგორ იმგზავრეთ? - გმადლობთ, - ხელი ჩამოართვა სიღრმი როჯერსმა, - თავად როგორ ხართ? - ელჩი დღეს ნაშუალამევის ოთხი საათისთვის გელოდებოდა, მისტერ როჯერს. მისაღება თქვენთვის ეს დრო? - რა თქმა უნდა. - ნომერი დაჯავშნულია. სასტუმრო „მეტეხი-პალასი“ - ეს ყველაზე ფემინელური სასტუმროა აქ, - თქვა ობრაიენმა, - ყოველ შემთხვევაში, ჩვენმა პრეზიდენტმა და მისმა მუდღეობამ მანდ გაათიეს ლამე, - ისეთი ტონით თქვა ობრაიენმა, თითქოს ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის ვიზიტი საქართველოში მისი მოწყობილი იყო, - თქვენი ნომერი მისი ნომრის გვერდზეა.

კარგი, მაგრამ ხომ არ ეწყინებათ, რომ გაიცოცხ? - ვის, რა უნდა ეწყინოს? - იკითხა ელჩის თანამემამულე ბუმბუბის ოჯახს, - უაღრე-

სად სერიოზული სახე მიიღო როჯერსმა.

- არ ვიცოცხ... - საბოლოოდ დაიბნა ჯონ ობრაიენი, - რატომ უნდა ეწყინოს?

- ვერც მე ვხედავ წყნის საფუძველს, - ჩაიციხა როჯერსმა. „ეტყობა იუმორზე აცრილია“, - გაიფიქრა.

- იხუმრეთ, არა? - იკითხა ჯონ ობრაიენმა აეროპორტის შენობიდან გასვლისას და ამ შეკითხვით დაადასტურა როჯერსის ვარაუდი იუმორის თაობაზე.

- რა თქმა უნდა, - დაამუხედა როჯერსმა!

- აქ დადევით, ახლავე მოვიყვან მანქანას.

ამერიკის შეერთებული შტატების ელჩის თანამემამულე ჯონ ობრაიენი ძალაყინგადაყლაპულივით ჩქარი ნაბიჯებით წავიდა ავტოსადგომისკენ.

„ჰოო... ჩვენი ჯონი-ბოი სერუანტი მაინც იქნება“, - გაიფიქრა სიღრმი როჯერსმა. თბილისის საერთაშორისო აეროპორტის შენობის წინ იდგა. მხოლოდ დილა თენდებოდა, აეროპორტის მუდმივი თანხლები ნიავე დადევნებოდა მიმავალ ლამეს და ცაზე ერთიმეორის მიყოლებით აქრობდა ვარსკვლავებს...

„აი! - სასტუმროს ნომრის ერთ-ერთ კარზე მიუთითა როჯერსს ობრაიენმა, - აი ამ ნომერში გაათია ღამე ჩვენმა პრეზიდენტმა.“

